დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: გიორგი მოდებაძე

წევრები:

მირანდა იაკობიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი.

ირმა ავალიანი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

მირანდა თურმანიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;

ნათია კილაძე - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;

ლია ციცქიშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;

მარინე მორჩილაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;

ნათია ნაფეტვარიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;

მარინე ახალაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;

გიორგი ბერიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;

ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242574763

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სოფელი ქვედა ცაგერი
ფაქტობრივი მისამართი	ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელი ქვედა ცაგერი
საფოსტო ინდექსი	5100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/4bg4IoI
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Kvedatsageri@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	551522575

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 8 26 0000416932, 07/04/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 07 და 08 მაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელი ქვედა ცაგერი. სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი შენობა-ნაგებობა - 1
	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელი ქვედა ცაგერი. სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი შენობა-ნაგებობა - 1
	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებო საფეხური	ქართული	ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელი ქვედა ცაგერი. სასწავლო მიზნებისთვის

				გამოსაყენებელი შენობა-ნაგებობა - 1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2026 წლის 07 აპრილის MES 8 26 0000416932 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს: თავჯდომარე: გიორგი მოდებაძე. წევრები: მირანდა იაკობიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი); ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); მირანდა თურმანიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი); ნათია კილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი); ლია ციცქიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი); მარინე მორჩილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი); ნათია ნაფეტვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი); მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი); გიორგი ბერიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი); ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი) დაევალა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლაში. ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 07-08 მაისს. სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, სრულფასოვანი შეფასების მიზნით, განხორციელდა ჯგუფის წევრების ონლაინ შეხვედრა, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ბრძანების შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა შეფასების პროცესი განახორციელეს ადგილზე ვიზიტით ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერში. ჯგუფის წევრებმა შეფასების პროცესი განახორციელეს დისტანციურად, ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტით მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესებთან და მათ მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. დღის წესრიგის გათვალისწინებით, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, მასწავლებლებთან, დაათვალიერეს მატერიალური რესურსი და შეაფასეს დაწესებულების ფაქტობრივი მდგომარეობა. საგნობრივი ექსპერტები თავიანთი საგნის ფარგლებში დისტანციური/ონლაინ შეხვედრის ფორმატში გაესაუბრნენ კათედრის ხელმძღვანელებს და შესაბამის მასწავლებლებს. დაწესებულების წარმომადგენლებმა ხელი შეუწყვეს ექსპერტთა საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყვეს გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტებისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები ჯგუფის წევრებმა გააცნეს სკოლის წარმომადგენლებს ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას აქვს გრძელვადიანი პროექტების განხორციელების საინტერესო გამოცდილება, სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ წლების წინ მასწავლებლებსა და მოსწავლეებში განსაკუთრებული ინტერესი გამოიკვეთა პროექტული სწავლების პრინციპების მიმართ, რაც დაეფუძნა როგორც სასკოლო პრაქტიკაში დაგროვილ გამოცდილებას, ისე საგანმანათლებლო პროცესის ინოვაციური მიდგომებით გამდიდრების საჭიროებას. სკოლას უკვე გააჩნდა რამდენიმე პროექტის დაგეგმვისა და განხორციელების გამოცდილება, რაც ხელს უწყობდა დამატებითი, პრაქტიკაზე ორიენტირებული ინიციატივების განვითარებას.

2022 წლის შემოდგომის სემესტრში, სკოლის დირექტორის აქტიური შუამდგომლობით, დაიწყო თანამშრომლობა ფონდ „აფხაზინტერკონტი“-სთან, რომელიც დაინტერესებული იყო აქტიური სკოლების მხარდაჭერითა და საგანმანათლებლო ინოვაციების ხელშეწყობით. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა მეფუტკრეობის მიმართულებით საგანმანათლებლო პროექტი დაინტერესებული მოსწავლეებისთვის, შეიქმნა აგროკლუბი „ნექტარი“ კლუბისთვის გამოიყო კეთილმოწყობილი ოთახი. ,,აფხაზინტერკონტისგან’ ‘სკოლას გადმოეცა ფუტკრის 2 ოჯახი და დაიწყო როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლება და ტრენინგები. პროექტის განხორციელების მხარდასაჭერად სკოლას გადაეცა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები: პერსონალური კომპიუტერი, მულტიფუნქციური პრინტერი, საკონფერენციო მაგიდა, 15 ერთეული კომბინიზონი, ფიჭის ჩასაკრავი ელექტრომოწყობილობა და თაფლის საწური (ციბრუტი). სკოლას აქვს დამატებითი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით N 89.02.24.099 დაზუსტებული ფართობით 2000 კვ.მ, რომელზეც გაშენდა აღნიშნული საფუტკრე. პროექტის ფარგლებში 2023 წლის ზაფხულში მიღებულ იქნა თაფლის პირველი მოსავალი, ხოლო 2024 წლიდან სკოლამ დაიწყო თაფლის რეალიზაცია. მიღებული ფინანსური რესურსები გამოიყენება სკოლის განვითარებისათვის და მატერიალური გარემოს გაუმჯობესებისთვის, რის შედეგადაც სკოლის გარე სივრცეში მოეწყო ფანჩატური. პროექტში მოსწავლეებისა და სკოლის თანამშრომლების აქტიური ჩართულობის შედეგად ფუტკრის ოჯახების რაოდენობა გაიზარდა და თავდაპირველი 2 ოჯახიდან ამჟამად შეადგენს 5 ოჯახს. 2025 წლის ზაფხულის მოსავლის შედეგად მიღებული შემოსავალი, წინა პერიოდთან შედარებით, დაახლოებით ორჯერ გაიზარდა და კვლავ მიმართულია მეფუტკრეობის მიმართულების განვითარებაზე.

სკოლა პროექტის შემდგომ განვითარებასაც გეგმავს. მიმდინარე წლის ზაფხულისთვის მოსალოდნელია ფუტკრის ოჯახების დამატებით 1–2 ერთეულით გაზრდა.

2024 წელს არასამთავრობო ორგანიზაცია „ფერმერთა საველე მეურნეობამ“ სკოლას გადაურიცხა დაახლოებით 3000 ლარი, რომლითაც სკოლამ ქარელის ბიოფერმერის — ემზარ ქურდაძის სანერგე მეურნეობიდან შეიძინა თაფლოვანი მცენარეები. აღნიშნული ნარგავები გაშენდა ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, რაც ხელს უწყობს პროექტის მდგრად განვითარებასა და გრძელვადიან პერსპექტივას.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 200	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
N 3.4.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ეზოში არსებული სანიაღვრე არხისა და დაზიანებული საევაკუაციო კიბის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრა.*

[1] გარდ. მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ექიმის პოზიციაზე კანონმდებლობით დადგენილი კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება.*
3.5.1.4	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის შენობაში ფიზიკური ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიური გარემოსთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
2.2.2.3	*კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.*	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა და ფუნქციონირება უსაფრთხოების, ხელმისაწვდომობის, სანიტარიულ-ჰიგიენური და მატერიალურ-ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
1.1.1.4	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*სკოლას მიეცა რჩევა - იმისათვის, რომ მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარების პროცესი ეფექტური და მიზნობრივი იყოს, სასურველია, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში დაზუსტდეს და გაიწეროს შემუშავებული დოკუმენტების გაზიარების კონკრეტული საშუალებები/გზები, რაც გააუმჯობესებს სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღებისა და მიღებული უკუკავშრის გაანალიზების პროცესს.*
1.1.1.5	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი*	*სკოლას მიეცა რჩევა - იმისათვის, რომ მისია, ხედვა, ღირებულებები ფართო საზოგადოებისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის იყოს ხელმისაწვდომი, სასურველია, განთავსებული იყოს სკოლის სოციალურ გვერდზეც.*
1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.*	*სკოლას მიეცა რჩევა: სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების განახლებულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში ასახოს სამოქმედო გეგმის ჩარჩო შემდეგი კომპონენტებით: სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. ასევე, სკოლის განახლებული სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობდეს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
3.1.2.1	*პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების*	*სკოლას მიეცა რჩევა - სასურველია, პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში/დოკუმენტებში გაიწეროს პერსონალის კმაყოფილების კვლევის ჩატარების პროცედურა, მათ შორის კვლევის პერიოდულობა,*

	მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	*პასუხისმგებელი პირები, გამოყენებული მეთოდები, შედეგების ანალიზისა და შემდგომი რეაგირების მექანიზმები.*
3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით*	*სკოლას მიეცა რჩევა - სასურველია, რეგულაციაში ნათლად იყოს აღწერილი რა ვადაში მიიღება გადაწყვეტილება ვაკანტურ პოზიციაზე პირთა დასაქმების შესახებ.*
3.2.1.1	*სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები*	*დაწესებულებას მიეცა რჩევა - სასურველია, პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმში განისაზღვროს: შეფასების სახე და შეფასების პერიოდი. ასევე, კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებები და მიღებული შედეგები დოკუმენტურად დაფიქსირდეს, რათა პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებში ასახული იყოს სისტემატიზებული ინფორმაცია, აღნიშნული ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დამყარებულ გადაწყვეტილებების გამჭვირვალობას.*
3.4.1.5	*სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას*	*დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ საყოფაცხოვრებო ქიმიისა და სადეზინფექციო საშუალებებისთვის გნკუთვნილ ოთახში რესურსები განათავსონ ჩაკეტილ სათავსოში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.*
3.6.1.1	*ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას*	*სკოლას მიეცა რჩევა, სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, კომპიუტერულ ლაბორატორიაში გაიზარდოს კომპიუტერების რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს ტექნოლოგიებზე უფრო ფართო ხელმისაწვდომობას როგორც საგაკვეთილო, ისე არასაგაკვეთილო პროცესში.*
3.6.3.3	*საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი*	*სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, სკოლაში არსებული უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების პრაქტიკა დოკუმენტურად აღირიცხოს, რაც ხელს შეუწყობს მიღებული ინფორმაციის სისტემურ ანალიზსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას.*

	საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად	
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)	**რჩევა**
ინდიკატორი N 2.1.2.1	*შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:* *რჩევა:* *დაწყებითი საფეხური - სასურველია, ყველა საგნობრივ ჩარჩოში იყოს მითითებული სასწავლო წელი, საგნის მასწავლებელი,საათობრივი განაწილება სკოლის მიერ შერჩეული კვირეული საათის გათვალისწინებით სასწავლო თემების მიხედვით (მაგ.1-ლი და მე-2 კლასი), ტექნიკურად გასწორდეს ყველა ფაილი (მაგ, ჩარჩოს ქუდი მე-3 კლასში, ზუსტად მიეთითოს კლასი ჩარჩოს ზემოთ, მაგ მე-5 კლასი), შემოწმდეს ყველა ბმული რესურსების გრაფაში (მაგ მე-2 კლასი).* *სამივე საფეხური - სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოების ქვეშ მითითებული იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება დეტალური სახით, რომლის* *განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით.* *უცხოური ენები:* *რჩევა:რეკომენდებულია,რომ კურიკულუმში და შემოქმედებით დავალებებში გათვალისწინებული იყოს დიფერენცირებული სწავლების აქტივობები,დავალებები.*

		ესთეტიკური აღზრდა: *რჩევა: სახვით და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში(V-VI კლ.) სასურველია, დაემატოს ესგ-ის მიხედვით სამივე სავალდებულო თემატური ბლოკი. ეს სტრუქტურული ცვლილება უზრუნველყოფს კურიკულუმის სრულ სიცხადეს, სტანდარტთან შესაბამისობას* *და მასწავლებელს გაუადვილებს სწავლა-სწავლების* *პროცესის ეფექტურად დაგეგმვას.* *სახელმწიფო ენა:* *რჩევა:* *გააგრძელონ მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდრონ ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით. ეს ხელს შუწყობს როგორც მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ისე მათი მიღწევების შეფასებას.* *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:* *რჩევა: სასურველია კათედრაზე შეთანხმებულ იქნას ოთხივე საგნის (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) და შემუშავებული იყოს საერთო კურიკულუმის ჩარჩო, თითოეულმა მასწავლებელმა ამის მიხედვით შეადგინოს საგნობრივი კურიკულუმი, ასევე მოხდეს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე უკვე არსებული კურიკულუმების გადახედვა/გადასინჯვა.*
ინდიკატორი N 2.1.2.2	*კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს*	*სახელმწიფო ენა:* *რჩევა: (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურები) სასურველია, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში. სასურველია, კათედრაზე შეთანხმდნენ და საკითხი და დავალება ჩამოყალიბდეს ერთიანი პრინციპების დაცვით. კურიკულუმის ჩარჩოში დააკონკრეტონ შესასწავლად გამოკვეთილი ყველა საკითხის/თემის შესაბამისი*

		სამიზნე ცნებება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულ დაგეგმვასა და შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და ამოცანებთან. *უცხოური ენები:* *რჩევა:* *სასურველია, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს პრაქტიკული და ინტეგრირებული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნული მიზნების რეალურ სასწავლო გამოცდილებაში გადატანა*
ინდიკატორი N 2.1.2.3	*კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:* *რჩევა:* *სამივე საფეხური - ასახონ რესურსებში კონკრეტული სკოლის, კათედრის, მასწავლებლის მიერ ორგანიზებული/დამზადებული რესურსები, სასურველია, რესურსები გამრავალფეროვნდეს, შესაძლოა, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები, ასევე სხვადასხვა პროექტის ან არაფორმალური განათლების ფარგლებში გამოყენებადი მასალები შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ.* *უცხოური ენები:* *რჩევა:სასურველია, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები იყოს კიდევ უფრო ინდივიდუალიზებული და დიფერენცირებული რაც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის უკეთ დაგეგმვას და რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას.* *სახელმწიფო ენა:* *რჩევა-გაამდიდრონ და გაამრავალფეროვნონ კურიკულუმის ჩარჩო რესურსებით.* *ტექნოლოგიები:* *რჩევა: სასურველი იქნებოდა სხვადასხვა საგანმანათლებლო ვიდეორესურსსა და კონტექსტ მაგალითებზე ბმულების მითითება,*

		რომლებიც დამატებით შეუწყობდა ხელს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას.
ინდიკატორი N 2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	*საგუნებისმეტყველო მეცნიერებები:* *რჩევა:* *დაწყებითი საფეხური: დიფერნცირებისათვის შესაძლებელია, მოსწავლეებს არამხოლოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს, არამედ შემაჯამებელ სამუშაობზეც შესთავაზოთ დავალების განსხვავებული ვარიანტები. სასურველია, სადიაგნოსტიკო ტესტში შევამციროთ ტესტური არჩევითბოლოიანი დავალებების მოცულობა და გავზარდოთ მაღალ სააზროვნო უნარებზე გათვლილი, შემოქმედებითი ტიპის დავალებები. თუ დიაგნოსტირება ტარდება წლის დასაწყისში, სასურველია, იგივე ხასიათის ტესტი განხორციელდეს წლის ბოლოსაც, ამასთან ზუსტად განისაზღვროს დიაგნოსტირების რეალისტური სასწავლო მიზნები სასწავლო თემებთან, დიაგნოსტირების ჩატარების დროსთან და წინარე ცოდნასთან მიმართებით (რას ვადგენთ, როდის, რა ფორმით, როგორ და როდის გავზომავთ მოსწავლის პროგრესს. მაგ მე-6 კლასის ტესტი აგებულია წინა წლის სასწავლო საკითხებზე, დიაგნოსტირების ანალიზი შესრულებულია 1 -ელ ოქტომბერს).* *სამივე საფეხური: სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში გამოკვეთოთ მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული ან ხელახლა შექმნილი ძირითადი და/ან ალტერნატიული აქტივობები.* *უცხოური ენები:* *რჩევა:სასურველია, კურიკულუმში განისაზღვროს დიფერენცირებული დავალებებისა და აქტივობების კონკრეტული მაგალითები, ინსტრუქციები და განხორციელების პირობები.* *ტექნოლოგიები:*

		რჩევა: სასურველია დიფერენცირებული სწავლების კონკრეტული მაგალითებისა და მიდგომების უფრო მკაფიოდ წარმოჩენა.
ინდიკატორი N 2.1.2.5	*მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:* *სამივე საფეხური: სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს საგნის გრძელვადიან შედეგებს - საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა უპირველესად გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი. შემაჯამებელ სამუშაოებში სჯობს, საერთოდ ამოვიღოთ არჩევითბოლოიანი დავალებები, მეტი წილი მიენიჭოს ღია კითხვებს მაღალი საზროვნო უნარების შემოწმების მიზნით. ასევე სჯობს, გამსაზღვრელი შეფასებების სქემებში ქულათა განაწილება აითვალოს მინიმალური დადებითი ქულიდან. შესაძლოა, მიუთითოთ კრიტერიუმის აღწერილობის გრაფაში რა შემთხვევაში არ შეფასდება მოსწავლე დადებითი ქულით. კათედრის ოქმში N 1 (მათემატიკა და საბუნებისმეტყველო საგნები) დანართი 4, შემაჯამებლების განრიგი სემესტრების მიხედვით მე-5 კლასში პირველ სემესტრში მითითებულია 0, რადგან განმსაზღვრელი შეფასება მე-2 სემესტრიდან იწყება, თუმცა პრაქტიკული თვალისაზრისით,მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, შეგიძლიათ, დაგეგმოთ შემაჯამებელი სამუშაო კათერდაზე შეთანხმებული ფორმით, თუნდაც ქულების მინიჭებით, რაც მოსწავლეს და მასწავლებელს მისცემს საშუალებას, მოემზადოს და ადაპტირდეს განმსაზღრელი შეფასებისათვის. *უცხოური ენები:* *რჩევა:სასურველია, თითოეულ საფეხურზე, ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, უფრო დეტალურად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მკაფიოდ აღწერს მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევის დონეებს.* *ესთეტიკური აღზრდა:*

		რჩევა: სასურველია,კურიკულუმის შესაბამისად შეიქმნას სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში,როგორც დაწყებით,ასევე საბაზო საფეხურზე, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების/ მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. *სახელმწიფო ენა:* *რჩევა: (დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლებმა კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში კი აღწერონ, თუ რა მოლოდინი უნდა ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან კონკრეტულ ქვესაკითხთან და მასთან ერთად სამიზნე ცნებასთან მიმართებით.*
ინდიკატორი N 2.2.1.1	*სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად*	*უცხოური ენები:* *რჩევა:სასურველია ყველა საფეხურზე უფრო აქტიურად დაინერგოს დიფერენცირებული და ინტერაქტიული სწავლების მეთოდები.* *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:* *რჩევა: სკოლას მიეცა რჩევა სასწვლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით.*
ინდიკატორი N 2.2.1.3	*შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:* *რჩევა:* *საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ მოსწავლის თვითშეფასების ნიმუშში (საგანი ბიოლოგია, თემა გენეტიკა) სტრუქტურირებულია შეფასების 5 დონე, სადაც მოსწავლეს აქვს კი/არა მონიშვნის გრაფა. შეფასების დიაპაზონის გაზრდის მიზნით, შესაძლოა,მოსწავლეებს ვთხოვოთ, შეაფასონ ესა თუ ის დონე ათქულიანი შკალით.* *საზოგადოებრივი მეცნიერებები:*

		რჩევა: სასურველია, შეფასების ინსტრუმეტების დახვეწვა საბაზო და საშუალო საფეხურზე. კერძოდ, მოხდეს მეტი სიცხადის შეტანა და კომპლექსურ დავალებებთან შესაბამისობაში მოყვანა. *უცხოური ენები:* *რჩევა:* *სასურველია, კათედრა უფრო აქტიურად ჩაერთოს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის პროცესში და ეს პროცესი გახდეს სისტემატური და რეგულარული. ასევე მიზანშეწონილია შეფასების ინსტრუმენტების პერიოდული გადახედვა და ერთგვაროვანი კრიტერიუმების გაძლიერება, რაც კიდევ უფრო გაზრდის შეფასების სანდოობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.* *სახელმწიფო ენა:* *რჩევა: (დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებსა და ქვეცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. ეს ხელს შეუწყობს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას.* *ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური:* *რჩევა: სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება .*
ინდიკატორი N2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	*საბუნებისმეტყველო მეცნიერებები:* *რჩევა:* *სამივე საფეხური: სასურველია, საბუნებისმეტყველო კათედრაზე შეიქმნას ციფრული რესურსების ბანკი, რომელიც საშუალებას*

		მისცემს მოსწავლეებს, ძირითად რესურსებთან ერთად ან მათ ნაცვლად, ალტერნატიული აქტივობები შეასრულონ. წლის ბოლოს სასურველია, მოხდეს რესურსების ინვენტარიზაცია, სასწავლო წლის დასაწყისისთვის მობილიზდეს ახალი რესურსი და მოემზადოს კათერდაზე ვალიდაციისთვის,ლაბ.რესურსების ჩამონათვალში აისახოს ყველა გამოყენებადი რესურსი. *ტექნოლოგიები:* *რჩევა: მომავალში სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით სასურველია მრავალფეროვანი ონლაინ საგანმანათლებლო რესურსების მითითება*
ინდიკატორი N 2.2.2.2	*სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას*	*უცხოური ენები:* *რჩევა: სასურველია, სკოლამ რეგულარულად გაატაროს დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხობრივი შემოწმება და დადასტურებული რესურსები გამოიყენოს სწავლის პროცესში.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის მისიისა და ხედვის დოკუმენტი:

სკოლის მისიაა - სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოებისათვის კომფორტული, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემოს შექმნას. კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას. ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის დამკვიდრებას სასკოლო საზოგადოებასა და თემში. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნების სოციალური და სამეწარმეო უნარების განვითარებას.

სკოლის ხედვაა - ქვედა ცაგერის საჯარო სკოლა მომდევნო წლებშიც გააგრძელებს მოსწავლეებისთვის აკადემიურ განათლების პარალელურად სამეწარმეო განათლების მიცემას და 2030-2031 წლისთვის სკოლა გახდება პროფესიული განათლების პროვაიდერი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მისია, ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით, შესაბამისობაშია ზოგადი განათლების სისტემის ძირითად მიზნებთან, კერძოდ, დაწესებულება თავის მისიაში აქცენტს აკეთებს კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებებსა და ტოლერანტობის დამკვიდრებაზე მოსწავლეებში, რაც შესაბამისობაშია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის, ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების პატივისმცემელი მოქალაქის აღზრდის საკითხებთან, ასევე, აქცენტები კეთდება ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, რაც საშუალოვადიან/გრძელვადიან პერიოდში იძლევა სამეწარმეო უნარებისა და ახალი ინტელექტუალური, სულიერი, თუ მატერიალური ღირებულებების შექმნის შესაძლებლობას. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულების მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების სისტემის ძირითად მიზნებთან, ასახავს სკოლის საგანმანათლებლო ღირებულებებს, განვითარების პრიორიტეტებსა და სამომავლო

მიმართულებებს. ამასთანავე, მისია და ხედვა ორიენტირებულია უსაფრთხო, თანასწორ და ინკლუზიურ გარემოში მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, ასევე სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობაზე, რაც ქმნის საფუძველს სკოლის გრძელვადიანი განვითარებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მისიისა და ხედვის დოკუმენტით დეკლარირებული აქვს სასკოლო საზოგადოებისათვის კომფორტული, უსაფრთხო და წამახალისებელი სასწავლო გარემოს შექმნა. აღნიშნული ჩანაწერი მოიცავს როგორც ფიზიკური, ისე ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფას. ამასთანავე, დაწესებულება წამახალისებელი სასწავლო გარემოს შექმნას განიხილავს მოსწავლეთა სოციალური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად. სკოლის მისიის დოკუმენტში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა და თანასწორობის ღირებულებების დამკვიდრებაზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ ინტეგრაციას, აქტიური მოქალაქისთვის საჭირო უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების განვითარებას, ასევე კულტურული ცნობიერებისა და მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა სასკოლო საზოგადოებისათვის წარმოდგენილია როგორც უსაფრთხო, მხარდამჭერი და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე, რაც ასახულია მისიისა და ხედვის დოკუმენტში და თანხვედრაშია ზოგადი განათლების სისტემის ღირებულებებსა და მიზნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სსიპ — ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას მისიასა და ხედვასთან ერთად შემუშავებული აქვს დაწესებულების ღირებულებები, რომლებიც შემდეგნაირად არის ფორმულირებული: „სკოლა, უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით: გამჭვირვალობა; მიუკერძოებლობა; თანამშრომლობა; ობიექტურობა; ადამიანის უფლებების დაცვა“.

სკოლის დირექტორის მიერ 2026 წლის 23 იანვარს დამტკიცებულ სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს დეტალურად გაწერილ და ფორმალიზებულ სკოლის ერთ-ერთ უმთავრეს დოკუმენტს, რომელიც მოიცავს სკოლის ფილოსოფიას. ამავე დოკუმენტის მიხედვით, დაგეგმვის ჯგუფის

შემადგენლობაში შედიან კათედრების წარმომადგენლები, სკოლის ადმინისტრაციული და სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი და მშობელთა კომიტეტის წარმომადგენელი, რაც უზრუნველყოფს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას.
მტკიცებულების სახით დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის № MES 3 26 0000070742 ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს მისია, ხედვა და ღირებულებებზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობას. ასევე, სკოლამ წარმოადგინა შემუშავებული კითხვარები, რომელთა საშუალებითაც განხორციელდა მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინტერესების გამოვლენა. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე დაწესებულებამ შეიმუშავა სკოლის ფილოსოფიის ძირითადი ტექსტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით ხედვისა და მისიის შემუშავებული განაცხადი ქვეყნდება საჯარო სივრცეში კომენტარებისა და მოსაზრებების გაზიარების მიზნით, სულ მცირე ერთი კვირის ვადით, ვადის გასვლის შემდეგ მისია, ხედვა ღირებულებების შექმნაზე მომუშავე ჯგუფი კვლავ იკრიბება და შეიმუშავებს დოკუმენტების საბოლოო ვერსიებს. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლის დეკლარირებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარდა პედაგოგიურ საბჭოზე, კლასების მშობელთა კრებებზე, აღნიშნულის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა კრებების ოქმები. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები ასახულია სკოლის 2025-2026 წლების სასკოლო-სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სკოლას მიეცა რჩევა - იმისათვის, რომ მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარების პროცესი ეფექტური და მიზნობრივი იყოს, სასურველია, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში დაზუსტდეს და გაიწეროს შემუშავებული დოკუმენტების გაზიარების კონკრეტული საშუალებები/გზები, რაც გააუმჯობესებს სასკოლო საზოგადოებისგან უკუკავშირის მიღებისა და მიღებული უკუკავშრის გაანალიზების პროცესს.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა უზრუნველყოფს მისია, ხედვა, ღირებულებების საჯაროობას. ამ მიზნით, სკოლის შესასვლელში, პირველ სართულზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, რომელზეც განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია, ასევე, სკოლის ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სკოლას მიეცა რჩევა - იმისათვის, რომ მისია, ხედვა, ღირებულებები ფართო საზოგადოებისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის იყოს ხელმისაწვდომი, სასურველია, განთავსებული იყოს სკოლის სოციალურ გვერდზეც.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება - სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლა - განსაზღვრულია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის ბრძანებით, ასევე 2017 წლის 16 მარტის №448 ბრძანებით, რომელიც არეგულირებს საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესს. აღნიშნული სახელწოდება სრულად შეესაბამება სკოლის სამართლებრივ სტატუსს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

-სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები;
-დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
-სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წ.
-კითხვარები;
-გამოკითხვის შედეგები და ანალიზი;
-სკოლის ვებგვერდი;
-სკოლის ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
-სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ — ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლაში დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N MES 8 26 0000071197 ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის ფორმირების საკითხი. დოკუმენტის მიხედვით, დაგეგმვის ჯგუფი არის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესზე პასუხისმგებელი დროებითი სამუშაო ერთეული, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან საგნობრივი კათედრების, სკოლის ადმინისტრაციული და სტრუქტურული ერთეულების, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მშობელთა კომიტეტის წარმომადგენლები.

ამასთანავე, სკოლას შემუშავებული და დირექტორის N MES 3 26 0000070742 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეორე მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან სკოლის დირექტორი, ბუღალტერი, პედაგოგიური საბჭოს წევრები, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მშობელთა წარმომადგენლები.

შეჯამების სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარების ორი მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელთაგან ორივე ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების ასახვისა და მონაწილეობის მექანიზმებს.

თუმცა, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში დოკუმენტებს შორის არსებული შინაარსობრივი განსხვავებები ვერ უზრუნველყოფს მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით სკოლის როლის ერთიან და თანმიმდევრულ განსაზღვრას.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 1.2.1.1 ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა რევიზირებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც დაზუსტებულია შეფასებისა და მონიტორინგის პერიოდულობა და მექანიზმები, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, განახლებულია სამოქმედო გეგმის

სამუშაო ჩარჩოს კომპონენტები, აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა პედ.საბჭოს ოქმი, სამეურვეო საბჭოს ოქმი, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, რომლებიც ადასტურებს, რომ სასკოლო საზოგადოებამ განიხილა სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ — ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს 2024–2031 წლების შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2024 წელს. დოკუმენტში განსაზღვრულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, თუმცა აღნიშნული ფილოსოფია არ ემთხვევა სკოლის მოქმედ, საჯაროდ დეკლარირებულ მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, რომლებიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის N5 ოქმით.

მიუხედავად ამისა, როგორც სტრატეგიულ გეგმაში, ასევე მოქმედ მისიასა და ხედვაში, სკოლა აქცენტს აკეთებს მოსწავლეთა პროფესიული განათლების ხელშეწყობასა და სამეწარმეო უნარების განვითარებაზე. შესაბამისად, სტრატეგიული მიზნები ნაწილობრივ შესაბამისობაშია სკოლის დეკლარირებულ ფილოსოფიასთან. კერძოდ, ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა არაფორმალური განათლების განვითარების გზით, რაც მოიცავს:

- მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების კვლევასა და ანალიზს;
- პროფესიული განათლების მიმართულებით სასწავლო და მხარდამჭერი აქტივობების დაგეგმვას;
- თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული უნარების განვითარებას;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას.

თუმცა, სტრატეგიული გეგმა უნდა ეფუძნებოდეს სკოლის მოქმედ მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. ვინაიდან სკოლამ 2025 წელს შეცვალა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი, ხოლო სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2024 წელს, არსებული სტრატეგიული დოკუმენტი აღარ უზრუნველყოფს სრულ შესაბამისობას სკოლის განახლებულ პრიორიტეტებთან და საჭიროებებთან. შესაბამისად, სტრატეგიული გეგმა საჭიროებს რევიზიას სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა რევიზირებული სტრატეგიული გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძვნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს და შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით:

პედ.საბჭოს ოქმი N5; მშობელთა, პედაგოგოთა და მოსწავლეთა გაერთიანებული კრების ოქმი N3; სამეურვეო საბჭოს ოქმი N8; სამუშაო ჯგუფის ოქმი N6, დასტურდება, რომ სტრატეგიული გეგმის რევიზია განხორციელდა სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობით, მათი პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სსიპ - ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოზე 2025 წლის 4 სექტემბერს (ოქმი N 3), სკოლის სამოქმედო გეგმა მოიცავს 2025 წლის სექტემბრიდან 2026 წლის სექტემბრამდე პერიოდს, ის ეფუძნება 2024 – 2031 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმას, გეგმაში განსაზღვრული აქტივობები ემსახურება ამოცანების შესრულებას და სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ გეგმის შემუშავებისას სკოლამ გაითვალისწინა სკოლის გამოწვევები და განვითარებისთვის პრიორიტეტული მიმართულებები, ასევე SWOT ანალიზი, რომელიც სტრატეგიული დაგეგმარების წინარე პროცესში შეიმუშავა.

თუმცა, როგორც აღინიშნა, სკოლამ 2025 წელს შეცვალა მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი, ხოლო მოქმედი სტრატეგიული გეგმა აღნიშნულ ცვლილებამდეა დამტკიცებული და საჭიროებს ცვლილებას, ან რევიზიას. შესაბამისად, სამოქმედო გეგმა ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას, რომელიც სრულ შესაბამისობაში აღარ არის სკოლის მოქმედ ფილოსოფიასთან.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 1.2.1.3 ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა რევიზირებული სტრატეგიული გეგმა, ასევე, წარმოადგინა 2026-2027 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც ეფუძვნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და შესაბამისობაშია სკოლის ფილოსოფიასთან. ასევე, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები: პედ.საბჭოს ოქმი N5; მშობელთა, პედაგოგოთა და მოსწავლეთა გაერთიანებული კრების ოქმი N3; სამეურვეო საბჭოს ოქმი N8; სამუშაო ჯგუფის ოქმი N6, რომლებიც ადასტურებს, რომ დოკუმენტების რევიზირებისა და შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება, აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სსიპ — ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2025 წლის 4 სექტემბერს (ოქმი N3), შეიცავს სტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელ კომპონენტებს, კერძოდ: სტრატეგიულ მიზნებს, ამოცანებს, აქტივობების აღწერას, განხორციელების პერიოდს, შესრულების ინდიკატორებს, რესურსებსა და პასუხისმგებელ პირებს.

თუმცა, სკოლის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N MES 8 26 0000071197 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია“ განსაზღვრავს სამოქმედო გეგმის განსხვავებულ ჩარჩოს, რომელიც სრულ შესაბამისობაში არ არის სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული მოქმედი სამოქმედო გეგმის ფორმატსა და კომპონენტებთან.

ასევე, ვინაიდან სკოლამ 2025 წელს შეცვალა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი, ხოლო სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 2024 წელს, არსებული სტრატეგიული დოკუმენტი აღარ უზრუნველყოფს სრულ შესაბამისობას სკოლის განახლებულ პრიორიტეტებთან და საჭიროებებთან. შესაბამისად, სამოქმედო გეგმაც, რომელიც გამომდინარებს სტრატეგიული გეგმიდან, საჭიროებს რევიზიას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

სკოლას მიეცა რჩევა: სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების განახლებულ მეთოდოლოგიურ დოკუმენტში ასახოს სამოქმედო გეგმის ჩარჩო შემდეგი კომპონენტებით: სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. ასევე, სკოლის განახლებული სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობდეს მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

-„სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდლოგია“ (სკოლის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N MES 3 26 0000070742 ბრძანება);
-„სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგია“ (სკოლის დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N MES 8 26 0000071197 ბრძანება);

- სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის 2025 წლის 4 სექტემბრის ოქმი N3;
-პედაგოგიური საბჭოს სხდომის 2025 წლის 8 სექტემბრის ოქმი N5;
-შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

როგორც აღინიშნა, სსიპ — ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ორი დოკუმენტი. ერთ-ერთი მათგანი დამტკიცებულია 2026 წლის 23 იანვრის № MES 8 26 0000071197 ბრძანებით, ხოლო მეორე — 2026 წლის 23 იანვრის № MES 3 26 0000070742 ბრძანებით. ორივე დოკუმენტში განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა.
კერძოდ, 2026 წლის 23 იანვრის № MES 8 26 0000071197 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „სტრატეგიული გეგმის გეგმიური მონიტორინგი მოხდება ყოველწლიურად, შესაბამისი დასკვნები კი გათვალისწინებული იქნება შემდეგი წლის სამოქმედო გეგმაში“, თუმცა აღნიშნულ მეთოდოლოგიაში არ არის განსაზღვრული სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების კონკრეტული მექანიზმები.
რაც შეეხება 2026 წლის 23 იანვრის № MES 3 26 0000070742 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტს, მასში მითითებულია, რომ „სტრატეგიული გეგმის შეფასება ხდება მოქმედების პერიოდში ორჯერ — შუალედურად და საბოლოოდ, ხოლო სამოქმედო გეგმის შეფასება — წელიწადში ორჯერ (სემესტრების ბოლოს — იანვარსა და ივნისში). საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც“.
შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების ორი მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომლებშიც განსხვავებულად არის განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების პერიოდულობა და მექანიზმები, რაც ართულებს ერთიანი და თანმიმდევრული მიდგომის ჩამოყალიბებას.
სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 1.2.2.1 ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა რევიზირებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც დაზუსტებულია შეფასებისა და მონიტორინგის პერიოდულობა და მექანიზმები, კერძოდ, დოკუმენტში განისაზღვრა, რომ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება მოხდება ორჯერ, სამოქმედო გეგმის კი - სემესტრის ბოლოს-იანვარისა და ივნისის თვეში, ასევე, სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა

პედ.საბჭოს სხდომის ოქმი, სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, რომლებიც ადასტურებს, რომ სასკოლო საზოგადოებამ განიხილა სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სსიპ — ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლამ ინდიკატორის მტკიცებულებად წარმოადგინა დოკუმენტები: „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პირველი სემესტრის ანგარიში“ და „პირველი სემესტრის რეფლექსია“.
ვინაიდან საჯარო სკოლაში სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო, აღნიშნული გეგმების შესრულების მონიტორინგის შედეგების განხილვა და შეფასება უნდა განხორციელდეს სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. თუმცა, სკოლას აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი მტკიცებულება წარმოდგენილი არ აქვს.
რაც შეეხება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიურ დოკუმენტებს, როგორც აღინიშნა, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ორი განსხვავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტი.
2026 წლის 23 იანვრის № MES 8 26 0000071197 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში განსაზღვრულია, რომ „სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესრულების მიმდინარე შეფასება ხდება ყოველწლიურად თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში. სტრატეგიის განხორციელების შეფასების ანგარიში თან ერთვის თვითშეფასების ანგარიშს. მას ამზადებს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი“. თუმცა, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში — „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პირველი სემესტრის ანგარიში“ — არ იკითხება, თუ ვის მიერ არის მომზადებული ანგარიში, შესაბამისად, ვერ დგინდება, განხორციელდა თუ არა შეფასება მეთოდოლოგიით განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფის მიერ.
რაც შეეხება 2026 წლის 23 იანვრის № MES 3 26 0000070742 ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტს, მასში მითითებულია, რომ „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების მიზნით იმართება სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელზეც წევრები აანალიზებენ ანგარიშებს. სხდომის თავმჯდომარე დეტალურად განიხილავს სამოქმედო გეგმას და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. შეხვედრას ოქმავს სამუშაო ჯგუფის მდივანი, რომელიც ასევე უზრუნველყოფს წერილობითი ანგარიშებისა და შესაბამისი მტკიცებულებების შეგროვებას“.
შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას დამტკიცებული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების ორი მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომლებშიც განსხვავებულად არის განსაზღვრული მონიტორინგისა და შეფასების პერიოდულობა, პროცედურები და მექანიზმები, რაც ართულებს ერთიანი და თანმიმდევრული მიდგომის ჩამოყალიბებას. ამასთანავე, სკოლის მიერ

წარმოდგენილი ანგარიშები და მტკიცებულებები სრულად ვერ ადასტურებს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება მეთოდოლოგიური დოკუმენტებით განსაზღვრული წესისა და პროცედურების შესაბამისად.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 1.2.2.2 ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა რევიზირებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც დაზუსტებულია შეფასებისა და მონიტორინგის პერიოდულობა და მექანიზმები, კერძოდ, დოკუმენტში განისაზღვრა, რომ სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება მოხდება ორჯერ, სამოქმედო გეგმის კი - სემესტრის ბოლოს-იანვარისა და ივნისის თვეში, ასევე, სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა პედ.საბჭოს სხდომის ოქმი, სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, რომლებიც ადასტურებს, რომ სასკოლო საზოგადოებამ განიხილა სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლის დირექციასთან ინტერვიუირების პროცესში გამოიკვეთა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების ამსახველი ანგარიშები განთავსდება სკოლის ვებგვერდზე. ანგარიშში აისახება სტატისტიკური მაჩვენებლები, გრაფიკული მონაცემები, ილუსტრაციები და დასკვნები. აღნიშნული, საკითხი სკოლას განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდლოგიაში, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებულია 2026 წლის 23 იანვრის დირექტორის № MES 3 26 0000070742 ბრძანებით. რომელშიც იკითხება, რომ „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემაჯამებელ ანგარიშს ამზადებს სკოლის დირექტორი. ამის შემდეგ, გასაჯაროების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა ანგარიშს ათავსებს სკოლის ვებგვერდზე“, თუმცა, როგორც აღინიშნა, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდლოგია საჭიროებს რევიზიას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიურ დოკუმენტებში გათვალისწინებულია, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოყენებული იქნება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. სკოლის დირექციის წარმომადგენლებმა ინტერვიუირების პროცესში აღნიშნეს, რომ განხორციელებული აქტივობებისა და მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე მოხდება ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის

შემდგომაც სკოლა დაგეგმავს შესაბამის ინტერვენციებს გამოვლენილი გამოწვევებისა და განვითარების საჭიროებების საპასუხოდ.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ შეიმუშაოს სტრატეგიული დაგეგმარების ერთიანი მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდ განისაზღვრება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმვის, მონიტორინგის, შეფასებისა და შედეგების გამოყენების ერთიანი ხედვა და მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს წინარე გამოცდილების სისტემურ ანალიზსა და მის გამოყენებას სკოლის შემდგომი განვითარებისთვი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

-„სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდლოგია;
- სკოლის 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის 2025 წლის 4 სექტემბრის ოქმი N3;
-პედაგოგიური საბჭოს სხდომის 2025 წლის 8 სექტემბრის ოქმი N5;
- „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პირველი სემესტრის ანგარიში“;
- სკოლის დირექტორის „პირველი სემესტრის რეფლექსია“.
- პედსაბჭოს კრების ოქმიN 5 (11/05/2026);
- მშობელთა, პედაგოგთა და მოსწავლეთა გაერთიანებული კრების ოქმი N 3 (13/05/2026);
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N 8 (11/05/2026);
- სამუშაო ჯგუფის ოქმი N 6;
-შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა
3.1. პერსონალის მართვა
3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია საშტატო განრიგი, რომლითაც გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, მასწავლებლები, სკოლის ექიმი, ფსიქოლოგი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, დამლაგებელი, დარაჯი, სკოლამ ასევე წარმოადგინა სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია 2026 წლის 27 თებერვლის N 2-6 ბრძანებით სკოლის დირექტორის მიერ. აღნიშნული დოკუმენტის მე-2 მუხლში განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურული ერთეულები: 1. დირექცია, 2. პედაგოგიური საბჭო, 3. სამეურვეო საბჭო, 4. მოსწავლეთა თვითმმართველობა, 5. დისციპლინური კომიტეტი, დოკუმენტში წარმოდგენილია სკოლის სტრუქტურა, რომელშიც განსაზღვრულია თანამდებობრივი დაქვემდებარებები და ურთიერთმიმართებები.
სკოლაში ჩამოყალიბებულია 6 საგნობრივი ჯგუფი/კათედრა (დაწყებითი, უცხოური ენები, საზოგადოებრივი მეცნიერებები, საბუნებისტმეტყველო მეცნიერებები, სახლმწიფო ენა, სპორტი და ესთეტიკური აღზრდა), რაც საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზებულ მართვას უწყობს ხელს.
საშტატო განრიგის, EMIS-ის მონაცემებითა და სტრუქტურული ერთეულების დოკუმენტით დგინდება, რომ სკოლის დირექცია შედგება სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისგან. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ, ორგანიზაციულ და ტექნიკურ მართვაში ასევე ჩართულია შემდეგი პერსონალი: საქმისმწარმოებელი, სკოლის ექიმი, ფსიქოლოგი, ასისტენტი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი და დამლაგებელი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შრომით ხელშეკრულებებსა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტში გათვალისწინებული ფუნქციების აღმწერები ერთმანეთთან შესაბამისობაშია.
რომ შევაჯამოთ, სკოლას მკაფიოდ აქვს განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულებისა და სტრუქტურულ ერთეულებს მიღმა კონკრეტული ფუნქციის შემსრულებელ პოზიციაზე დასაქმებული პირების ფუნქციები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია სტრუქტურათა/პირების ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, აღნიშნული ხელს უწყობს სკოლაში მიმდინარე მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების შეუფერხებლად წარმართვას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით და სტრუქტურული ერთეულების სხდომის ოქმებით დგინდება, რომ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
-სკოლის პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები;
-სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტი;
-სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 დეკემბრის სხდომის ოქმი N6 ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ;
-პედსაბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის სხდომის ოქმი N5 სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ;
-საგნობრივი კათედრების ოქმები;
-სკოლის თვითმმართველობის 2025 წლის 25 ოქტომბრის სხდომის ოქმი თვითმმართველობის თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის დირექტორის მიერ 2026 წლის 27 იანვარს N 2-7 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, რომელშიც აღწერილია პერსონალის მოზიდვა, შერჩევა და დანიშვნა მე-5 მუხლით, ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის პროცესი მე-6 მუხლით, პერსონალის მართვის პოლიტიკის როლი სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში მე-7 მუხლით, პერსონალის პროფესიული განვითარება მე-8 მუხლით, პერსონალის პროფესიული განვითარების ორგანიზება მე-9 მუხლით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მე-10 მუხლით, პერსონალის შეფასება მე-11 მუხლით, პერსონალის წახალისება მე-12 მუხლით, პერსონალის გათავისუფლება მე-13 მუხლით.
ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, სკოლის შინაგანაწესისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო დღეს სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დროს, ცვლაში მუშაობისას – ცვლის ხანგრძლივობას; დასვენების ხანგრძლივობა; შრომის ანაზღაურების გაცემის დროს, ადგილს და წესს; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს; ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს; ვ) შრომის პირობების დაცვის წესებს; წახალისების სახეს, პასუხისმგებლობის სახეს და მათი გამოყენების წესებს; განცხადების/საჩივრის განხილვის წესს. სკოლის შინაგანაწესი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შესაბამისობაშია შრომის კოდექსთან და პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებთან. სკოლას, ასევე, შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტი, აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია სკოლაში დასაქმებულ პირთა ფუნქციები. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის, პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის, სკოლის შინაგანწესისა და სკოლის სხვა ინსტიტუციური მარეგულირებელი დოკუმენტების დაცვით, აღნიშნული უზრუნველყოფს პერსონალის მართვის პროცესების განხორციელებას მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სკოლას მიეცა რჩევა - სასურველია, პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში/დოკუმენტებში გაიწეროს პერსონალის კმაყოფილების კვლევის ჩატარების პროცედურა, მათ შორის კვლევის პერიოდულობა, პასუხისმგებელი პირები, გამოყენებული მეთოდები, შედეგების ანალიზისა და შემდგომი რეაგირების მექანიზმები.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2026 წლის 27 იანვარს N 2-7 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“, აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლის საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკას, პრევენციული მექანიზმები ძირითადად დაკავშირებულია თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებასა და მხარდაჭერასთან, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად შესაბამისი მექანიზმები ასევე გაწერილია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-11 მუხლით განსაზღვრულია პერსონალის შეფასების წესი, დოკუმენტის თანახმად, პერსონალის შეფასება ემსახურება სამუშაოს შესრულების ხარისხის განმაპირობებელ გარემოებების გამოვლენასა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებების იდენტიფიცირებას. დასაქმებულთა შეფასებისა და მათი მოტივაციის მიზნით სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა, ამავე დოკუმენტის მე-5 მუხლით რეგულირდება პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და დანიშვნის პროცესი.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში მიმდინარე პროცესების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის შიდა მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული შესაძლო რისკების პერიოდულ იდენტიფიცირებასა და შესაბამისი რეაგირების პოლიტიკის შემუშავებას.

რომ შევაჯამოთ, სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს საჭიროებებზე დაფუძნებულ პრევენციულ და ინტერვენციულ პერსონალის მართვის პოლიტიკას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილ მარეგულირებელ დოკუმენტებში: შინაგანაწესში (თავი 4.), პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში (მუხლი 5.), განსაზღვრულია პერსონალის მოზიდვა, შერჩევა და დანიშვნა, ვაკანტური საათების შესავსებად კონკურის ჩატარების წესი, რომელიც ადგენს სკოლაში მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, მათ შორის კონკურსის ჩატარების წესსა და პირობებს, სკოლაში პედაგოგის მიღება ხდება კონკურსის გზით, დირექტორი უფლებამოსილია, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სკოლაში ვაკანტური ადგილი (საგნის ვაკანტური საათები) შეავსოს ღია კონკურსის გზით, შინაგანაწესის მე-4 თავში განსაზღვრულია შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, აღნიშნული დარეგულირებულია მე-6 და მე-7 მუხლებში, მე-6 მუხლით განსაზღვრულია წინასახელშეკრულებლო ურთიერთობა, კერძოდ, შრომითი ურთიერთობის გაფორმებამდე კანდიდატის მხრიდან სკოლაში წარმოსადგენი დოკუმენტები, ხოლო მე-7 მუხლით რეგულირდება სკოლაში პედაგოგის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება, რომელშიც გათვალისწინებულია,

რომ განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ განთავსდება პორტალზე www.pedagogi.ge, ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ განთავსდება საჯარო სკოლაში დასაქმებულთათვის ხელმისაწვდომ ადგილას. დაწესებულებას არ აქვს გათვალისწინებული, რომ პერსონალის პირად საქმეში იყოს განთავსებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ პირადი საქმეები სრულყოფილად არ მოიცავს დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სავალდებულოდ წარმოსადგენ დოკუმენტაციას.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის პერიოდამდე 3.1.2.2 ინდიკატორთან მიმართებით განაახლა პერსონალის პირადი საქმეები და წარმოადგინა მტკიცებულებები, რომელთა შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის პირად საქმეებში განთავსებულია ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში ნასამართლეობის არარსებობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, ცნობა ნასამართლეობის შესახებ. 2020-მდე მიღებული თანამშრომლების პირად საქმეებში - ცნობა ნასამართლეობის შესახებ. განახლდა ჯანმრთელობის ცნობები, ნოტარიულად დამოწმებული დიპლომის ასლები, განახლდა სტატუსის აღმნიშვნელი სერტიფიკატის ასლები. აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სკოლას მიეცა რჩევა - სასურველია, რეგულაციაში ნათლად იყოს აღწერილი რა ვადაში მიიღება გადაწყვეტილება ვაკანტურ პოზიციაზე პირთა დასაქმების შესახებ.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სკოლაში დასაქმებულია 8 წამყვანი და 16 უფროსის სტატუსის მქონე მასწავლებელი. სკოლის პედაგოგებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლაში შექმნილი სტრუქტურის გათვალისწინებით სკოლაში არსებობს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მათი სამუშაო აღწერილობებისა და სკოლაში არსებული საგნობრივი კათედრების სამუშო დოკუმენტაციით, მათ შორის, ჯგუფების მუშაობის დამადასტურებელი ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, ზოგადად, სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები ითვალისწინებს თანამონაწილეობით და გუნდურად მუშაობის პრინციპებს, მაგალითად, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის მე-9 მუხლით გათვალისწინებულია, რომ სკოლის კურიკულუმის შემუშავების პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება, რომლებიც ერთობლივად თანხმდებიან სასწავლო კურიკულუმის შემუშავების, განხორციელებისა და გაუმჯობესების პროცესში. ასევე, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, რომლის მე-8 მუხლით რეგულირდება თვითმმართველობის ძირითადი ფუნქციები და უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მათი მარჩულობა.

ავტორიზაციის ექსტპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლის პერსონალთან და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუირების დროს არაერთი მაგალითი დასახელდა იმისა, რომ სკოლა ცდილობს გაითვალისწინოს თემის მოსაზრებები და ერთობლივად გადაჭრას პრობლემები.

რომ შევაჯამოთ, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და ვიზიტის პერიოდში ჩატარებული ინტერვიუირების შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდურად მუშაობის პრინციპები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში სკოლის დირექციასა და მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის საგანმანათლებლო პერსონალი აცნობიერებს წარმატების აღიარების მნიშვნელობას, როგორც სკოლაში მიმდინარე პროცესების ეფექტურობის, ისე პერსონალის მოტივაციისა და განვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, სკოლას პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-7 მუხლში განსაზღვრული აქვს გამოცდილების გაზიარების მიზნით სამუშაო შეხვედრების მოწყობა, დოკუმენტის მიხედვით აღნიშნულის ორგანიზებას წარმოადგენს სკოლის დირექტორის ერთ-ერთი ფუნქცია.

სკოლის 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით შეხვედრების სისტემატური ორგანიზება, აღნიშნული მიემართება სკოლის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს - სკოლის ინტელექტუალური რესურსის, მათ შორის პედაგოგების პროფესიონალიზმის მზარდ განვითარებას.

სკოლის შინაგანაწესის მე-19 მუხლში განსაზღვრულია წახალისების ფორმები, კერძოდ, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები; ა) სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.
სკოლის ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს კოლეგიალურ თანამშრომლობას და ქმნის პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

-სკოლის შინაგანაწესი;
-სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“;
-ღია კონკურსის ჩატარების მასალები;
-შრომითი ხელშეკრულებები;
-სკოლის სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
-პერსონალის პირადი საქმეები (განახლებული ცნობებით);
-შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, დოუმენტის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება, ხოლო ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიული განვითარებისა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, ამ მხრივ ძირითადი საჭიროების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება, ასევე სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვა.

პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-8 მუხლი ითვალისწინებს პერსონალის პეროფესიულ განვითარებას, რომელშიც განსზღვრულია პერსონალის განვითარების მიზნით სკოლაში განსახორციელებელი აქტივობები, დოკუმენტის მე-11 მუხლით განსაზღვრულია პერსონალის შეფასება, კერძოდ, სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის სკოლაში დანერგილია შეფასების სისტემა (მონიტორინგი: დირექციისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პერსონალის შეფასება ძირითადად ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებით და უკუკავშრის მიცემით.

რომ შევაჯამოთ, სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტში დაგწერილია შეფასების მექანიზმები, სკოლა პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროების გამოვლენას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დაწესებულებას მიეცა რჩევა - სასურველია, პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმში განისაზღვროს: შეფასების სახე და შეფასების პერიოდი. ასევე, კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებები და

მიღებული შედეგები დოკუმენტურად დაფიქსირდეს, რათა პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილ აქტივობებში ასახული იყოს სისტემატიზებული ინფორმაცია, აღნიშნული ხელს შეუწყობს მტკიცებულებებზე დამყარებულ გადაწყვეტილებების გამჭვირვალობას.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, დოუმენტის მე-8 მუხლი განსაზღვრავს პერსონალის პროფესიულ განვითარებას, კერძოდ, პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში: ა) ხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება; ბ) ხორციელდება სკოლაში არსებული თანამდებობების სტრუქტურულ ერთეულებში გაერთიანება, პოზიციის შესაბამისი აღწერილობების შემუშავება და მათი განახლების უზრუნველყოფა, გ) დირექციის შეხვედრებზე რეგულარულად განიხილება პერსონალის მართვის მეთოდების ეფექტიანობა; დ) დასაქმებულთა მოტივაციის გაზრდის მიზნით იგეგმება წახალისების სისტემის გამოყენება. ე) ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას. სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე. პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის მე-9 მუხლით განსაზღვრულია, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკის განხორციელებას ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი.

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, გეგმაში გაწერილი აქტივობები ითვალისწინებს პერსონალის განვითარებისთვის საჭიროებათა კვლევას დიფერენცირებულად, ასევე მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევის საფუძველზე, მათი განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვას, აღნიშნული დადასტურდა სკოლის საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუირების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლა ქმნის პირობებს, რომ პერსონალის პროფესიული განვითარება იყოს უწყვეტი და მიზანმიმართული. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის მიზნით სკოლა ჩართულია საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის N641 დადგენილებით განსაზღვრულ მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლაში დასაქმებულია 8 წამყვანი და 16 უფროსის სტატუსის მქონე მასწავლებელი. სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის პერსონალის მართვის

მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც იკითხება, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა: ა) ერთვება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში; ბ) მასწავლებელთა თანხმობით, უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ მასწავლებლები პერიოდულად მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგებში, მაგალითად, „აქტიური სწავლება მათემატიკაში“, „საგაკვეთილო დაკვირვება“, „სწავლის თანამედროვე ტექნოლოგიები: მოსწავლის შეფასების სისტემა“; „ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში“ და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოდილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტის მე-6 მუხლი ითვალისწინებს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის პროცესს, ადაპტაციის ეტაპებს, ადაპტაციის პროცესში სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალი თანამშრომლისთვის სკოლაში დამკვიდრებული წესებისა და ტრადიციების გაცნობას, იმისთვის, რომ სწრაფად მოხდეს ორგანიზაციის კულტურასთან შეგუების პროცესი, დოკუმენტით გათვალისწინებულია კათედრის თავჯდომარის ვალდებულებები ახალი მასწავლებლის ინტეგრაციის პროცესში, კერძოდ, კათედრის წევრების გაცნობა; იმ დამრიგებლის გაცნობა,რომელ კლასებშიც მოუწევს ახალ მასწავლებელს გაკვეთილების ჩატარება; კათედრის დებულების გაცნობა; სხვადასხვა კათედრებისა და მათი წევრების გაცნობა: კათედრაზე არსებული საგანმანათლებლო რესურსების გაცნობა; საკონტაქტო ინფორმაციის გაზიარება; დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს დირექციისა და ადმინისტრაციის წევრების ფუნქციებს ახალი თანამშრომლის სკოლაში ადაპტაციის მიზნით.

რომ შევაჯამოთ, სკოლის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობითია, შესაბამისად, ახალი თანამშრომლების ინტეგრაცია სამუშაო გარემოსთან ეფექტურად ხორციელდება, აღნიშნული პროცესი სკოლას გაწერილი აქვს დოკუმენტურად. სკოლის პერსონალმა ინტერვიუირების დროს აღნიშნეს, რომ ახალ თანამშრომლებს სკოლა აცნობს სკოლის ძირითად, მარეგულირებელ დოკუმენტებს და ქმნიან კოლეგიალურ, კეთილგანწყობილ, ხელშემწყობ გარემოს თანამშრომლის სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტის მე-12 მუხლით გათვალისწინებულია, რომ სკოლის მიერ

წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, კერძოდ, სკოლა მიიჩნევს, რომ დასაქმებულის მოტივაციის ხარისხს განაპირობებს სკოლაში დამკვიდრებული გარემოს თავისებურებები და სამართლიანი, გამჭვირვალე და ობიექტური მართვის მექანიზმები, რომელთა მეშვეობით დასაქმებული გარანტირებულად მიიღებს პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობას, დოკუმენტში გაწერილია, რომ წახალისება, განხორციელდება ობიექტური კრიტერიუმებისა და გამჭვიდრვალე პროცესის ფარგლებში, ორგანიზაციული კლიმატის კვლევა განხორციელდება ორგანიზაციაში დამკვიდრებული კულტურის მუდმივი გაჯანსაღების მიზნით, კვლევის პროცესის წარმართვისას მაქსიმალური ობიექტურობის მისაღწევად დაცული იქნება მონაწილეთა ანონიმურობა. ორგანიზაციული კლიმატის კვლევის შედეგების მიხედვით შესაძლოა მოხდეს მართვის მექანიზმების, სამუშაო გარემოსა და პირობების, სხვადასხვა პროცედურების გადახედვა. სკოლის შინაგანაწესის მე-9 თავის მე-19 მუხლით რეგულირდება წახალისების ფორმები, კერძოდ, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები; ა) სკოლის დირექტორის მიერ ბრძანებით მადლობის გამოცხადება; ბ) საპატიო სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; მასწავლებელთა პირადი საქმეების შესწავლით დგინდება, რომ სკოლის დირექტორის ხელმოწერით გაცემულია სიგელები/მადლობის სიგელები მასწავლებლებისადმი, რომელშიც მათი მიღწეული წარმატებებია ხაზგასმული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

-სკოლის შინაგანაწესი;
-სკოლის პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
-გაკვეთილებზე დასწრების მასალები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის უზრნუველყოფის მიზნებს, რეგულაციებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელ პირს/სტრუქტურულ ერთეულს, სკოლაში მიმდინარე პროცესებს, პროცესების აღწერას და მის გამოყნებას, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის შემადგენელ ქვეპროცესებს, სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან რისკების შეფასებას და წლიური სამოქმედო გეგმის შედგენას, არაგეგმიურ შემოწმებას, შეფასების განხორციელებას, დასკვნის შედგენა და უკუკავშირს, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელებას.

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძვნება პროცესულ მიდგომას და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს, ვინაიდან მოიცავს შემდეგ ალგორითმს - დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე, აღნიშნული ხელს უწყობს სკოლაში ხარისხის გაუმჯობესებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორციელებს როგორც მმართველობით და ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს. სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი“, რომელის მე-2 მუხლში აღწერილია, რომ მმართველობითი პროცესებია: ა) სტრატეგიული დაგეგმვა, ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა. სკოლის ძირითადი პროცესებისა: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. სკოლის დამხმარე პროცესებია: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; ვ) მატერიალური რესურსის მართვა; ზ) უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა; თ) საზოგადოებასთან ურთიერთობა; ი) საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა); კ) კარიერული განვითარება. სკოლას მმართველობითი პროცესები აღწერილი აქვს „სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგიაში”, ამ დოკუმენტში განმარტებულია სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესი, ხოლო ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სტრუქტურული ერთეულების დებულებებში, რომლებიც პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში ფუნქციურადაა გაწერილი, ძირითადი საგანმანათლებლო პროცესები სკოლას აღწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში და „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, აღნიშნული დოკუმენტისა და სკოლის პერსონალთან ინტერვიუირების მიხედვით, მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, აგრეთვე მიიღონ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება. სკოლაში საჩივრის/განცხადების წარდგენა შესაძლებელია სკოლის კანცელარიაში განმცხადებლის/საჩივრის ავტორის მიერ ჩაბარებით, საფოსტო გზავნილის ან/და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (eFlow) საშუალებით, სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი, რომელიც შედგენილია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრაციაში უნდა გატარდეს დაუყოვნებლივ. დოკუმენტში ასევე განსაზღვრულა განცხადებისა და საჩივრის განხილვის ზოგადი წესი და მისი ვადები, დისციპლინური სახდელის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ზოგადი წესი, დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და განხილვაზე უარის თქმის საფუძველები, დაინტერესებული პირისა და გასაჩივრებული აქტის/გადაწყვეტილების გამომტანი პირის/ორგანოს მონაწილეობა საჩივრის

განხილვის დროს, მასწავლებლის ვაკანსიის შესავსებად გამოცხადებული კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი, თანამშრომელთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესი, შიდა სასკოლო გამოცდების შედეგების გასაჩივრების წესი. სკოლის შინაგანაწესის 29-ე მუხლით განსაზღვრულია, რომ სკოლის დირექტორის უარი დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე, ან დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება დასაქმებულისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის შესახებ, საჩივრდება სამეურვეო საბჭოში. სამეურვეო საბჭო საჩივრის განხილვისას ხელმძღვანელობენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIII თავით ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების ნორმებით და საჩივარს იხილავს 1 თვის ვადაში.
რომ შევაჯამოთ, სკოლას შექმნილი აქვს საჩივრის დაფიქსირების, მიღებისა და განხილვის სისტემა, მაში გაწერილი მექანიზმები იძლევა საჩივრის განხილვის შესაძლებლობას მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლება-მოვალეობები დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესის, მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულებისა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულებით. სკოლაში შემქნილი არაერთი მარეგულირებელი დოკუმენტი ითვალისწინებს პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის პრინციპებს, მაგალითად, სკოლის შინაგანაწესით განაზღვრულია სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, შრომითი ურთიერთობის პირობები, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო, წესი და პირობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ასევე, კონკრეტულად არის ჩამოთვლილი რა მიიჩნევა სკოლაში დასაქმებულის დისციპლინურ გადაცდომად, დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის, დასაქმებულის მიმართ გამოსაყენებელი დისციპლინური სახდელები, დოკუმენტით, ასევე, განსაზღვრულია, რომ მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ მასწავლებლის და სკოლის უკანონო და სხვა არამართლზომიერი ქმედებები, ხოლო, დოკუმენტში "განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი" დეტალურადაა განსაზღვრული საჩივრის/განცხადების განხილვის პრინციპები. ჩამოთვლილ დოკუმენტებში გათვალისწინებული მიდგომები უზრუნველყოფს სკოლის შიდა პროცესების დემოკრატიულ მართვას, თანამშრომლობითი ატმოსფეროს შენარჩუნებას და ნდობის ფორმირებას სასკოლო საზოგადოებას შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

-ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
-სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;
-სკოლის შინაგანაწესი;
-სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულები (კომუნიკაციის სტრატეგია) დოკუმენტი;
-პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
-მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლაში სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირებისთვის შესაბამისი მექანიზმები რამდენიმე მარეგულირებელ დოკუმენტშია გაწერილი, კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია); მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება; სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები; სკოლის შინაგანაწესი.
სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, ინფორმაციის გავრცელებისა და მიღებისთვის, გარდა სკოლის სოციალური ქსელების გვერდებისა, სკოლა იყენებს სატელეფონო ზარებს; ელექტრონულ ჟურნალს; სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრებს, მათ შორის მშობელთა კრებებს, სკოლის მიერ შემუშავებულ კითხვარებს.
ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ჩატარეულმა ინტერვიუებმა სასკოლო საზოგადოებასთან ცხადყო, რომ სკოლა უზრუნველყოფს მშობლის ინფორმირებას და თავადაც აქვთ შესაძლებლობა გააზიარონ სკოლის წარმომადგენლებთან მათთვის მნიშვნელოვანი და საჭირო საკითხი, რომელზეც შემდეგში სკოლა რეაგირებს. მშობელთან ურთიერთობის დებულების მიხედვით სკოლა ვალდებულია: მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს/წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ; სკოლას აქვს უფლება, მოუწოდოს მშობელს/წარმომადგენელს ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში, მიიღოს მონაწილეობა

სკოლის ორგანიზებით განხორციელებულ აქტივობებში; თავის მხრივ, მშობელი ვალდებულია, დაესწროს სკოლაში დაგეგმილ ღონისძიებებს და სასკოლო აქტივობებს, მათ შორის, მშობელთა კრებებს. მშობელთა კრებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში დაუსწრებლობის მიზეზი წინასწარ შეატყობინოს კლასის დამრიგებელს; ყოველი კვირის პარასკევი სკოლაში მშობლებთან შეხვედრის დღეა და მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ, ასევე, სკოლის თვითმმართველობის დებულებასა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების დებულებებში გაწერილია მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა ინფორმირებისა და უკუკავშირის მიღების საკითხს. სკოლამ მტკიცებულებებად ასევე წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმები; თვითმმართველობის ოქმები; შემუშავებული კითხვარები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებითა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, სასკოლო საზოგადოების წევრები აქტიურად მონაწილეობენ სასკოლო ცხოვრებაში. კანონმდებლობის შესაბამისად ფორმირებულია და ფუნქციონირებს სკოლის სტრუქტურით განსაზღვრული ორგანოები; სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დირექცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ პირადად, ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ სკოლის მართვაში, ასევაე მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს აქვთ კანონით დადგენილი წესით გაერთიანების უფლება, სკოლაჩი ჩამოყალიბებულია საგნობრივი კათედრები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროცესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისათვის საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სკოლის თვითთმმართვეობის ფუნქციებში იკითხება, რომ თვითმმართველობა შეიმუშავებს და სამეურვეო საბჭოს წარუდგენს მნიშვნელოვან მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, მონაწილეობას იღებს სკოლაში მიმდინარე ღონისძიებების, პროექტების დაგეგმვასა და განოხრიელებაში უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობას იღებს დისციპლინური კომიტეტის მუშაობაში და ა.შ. სკოლის წარმომადგენლებმა მტკიცებულებების სახით წარმოადგინეს, თვითმმართველობის სხდომის ოქმები, საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები, მშობელთა კრების სხდომის ოქმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგია) დოკუმენტი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი.
- თვითმმართველობის სხდომის ოქმი;
- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- მშობელთა კრების სხდომის ოქმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო**

სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების“ დოკუმენტი, რომელიც დამსტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2026 წლის 28 აპრილის N2-21 ბრძანებით, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს დარაჯი და სკოლის დირექცია, სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი.

სკოლამ წარმოადგინა საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს კრიზისულ სიტუაციებში სწრაფი რეაგირებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად პრინციპებს. გეგმა მოიცავს საფრთხეების და რისკების შეფასება და აღწერას, გასატარებელი ღონისძიებების აღწერას საგანგებო სიტუაციების მართვის ფაზების მხედვით, საგანგებო შტაბის შემადგენლობებს მათ ფუნქციებსა და ამოცანებს, საევაკუაციო სქემებს, გეგმა შეთანხმებულია შსს სსდ - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

სკოლამ წარმოადგინა მიმართვა უფლებამოსულ უწყებასთან - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან - შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, რომელშიც სკოლა ითხოვს შემდეგ მომსახურეობის გაწევას - შენობა ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება, მისამართზე ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფელ ქვედა ცაგერში მდებარე ს.ს.ი.პ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის 1751,06 კვ.მ. მქონე შენობა ნაგებობისათვის. სახანძრო უსაფრთხოების მიზნით შენობის სართულებზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, სკოლას არ აქვს სიგნალიზაციის სისტემა, არ არის დამონტაჟებული ჰაერის დეტექტორები.

სკოლას აქვს შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ უფლებამოსილი ორგანოს (სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო) მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა - N 001482926, დასკვნაში იკითხება, რომ „ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის შენობის ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად. თუმცა, ტექნიკური მდგომარეობის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია, სარდაფიდან წყლის მოცილების ღონისძიებების გატარება. აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, სკოლის დირექტორმა 2026 წლის 8 მაისს განცხადებით (MES 2 26 0000546798) მიმართა ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, რომელშიც სთხოვს, გაუწიოს შესაბიმისი დახმარება, რომ მოხდეს დასკვნის შესაბამისი დრენაჟის გაკეთება.

სკოლაში დამონტაჟებულია ვიდეოსათვალთვალო კამერები, 10 ვიდეოკამერა სკოლის შიდა ტერიტორიაზე და 4 სკოლის გარე ტერიტორიაზე, თუმცა, სკოლის ეზოს ვიდეოდაკვირვების მიზნით დამონტაჟებული ვიდეოკამერები ვერ უზრუნველყოფენ სრულყოფილ ხედვას ეზოს ყველა მიმართულებით. სკოლას შემუშავებული და დირექტორის მიერ 2026 წლის 8 მაისს N 2-22 ბრძანებით დამტკიცებული აქვს სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემის აღჭურვისა და ვიდეოთვალთვალის სისტემის ადმინისტრირების წესი, რომელშიც გაწერილია სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვის წესი, ვიდეოთვალთვალის სისტემის ადმინისტრირების წესი, სკოლაში N MES 8 26 0000547036 ბრძანებით არის განსაზღვრული კამერების დათვალიერებაზე პასუხიმგებელი პირი, თუმცა ვიდეოდაკვირვებისთვის განკუთვნილი მონიტორი დამონტაჟებულია სკოლის დირექტორის კაბინეტში, რომელთან შემხებლობაც სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებსაც აქვთ.

სკოლას დირექტორის N 2-25 ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლის ეზოში გაჭრილია ღრმა სანიაღვრე არხი, რომელიც საფრთხისშემცველია მოსწავლეებისა და პერსონალისთვის, ასევე, სკოლის შენობას ორ მხარეს მიდგმული აქვს გარე საევაკუაციო კიბე, რომლის კონსტრუქციული გადაწყვეტა საფრთხისშემცველია მოსწავლეებისთვის, კერძოდ, გარე კიბის ასასვლელს არ აქვს დამცავი ბარიერი, კიბის მოაჯირები და მასზე არსებული ვერტიკალური დგარები, დაზიანებულია.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით განმარტა, რომ შეცვალა ვიდეოკამერებისთვის განკუთვნილი მონიტორის ადგილმდებარეობა, ასევე, ვიდეოკამერები განათავსა, იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს სკოლის ტერიტორიის სრულყოფილად ხედვა, მტკიცებულებად წარმოადგინა ფოტოსურათები, ასევე, სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 2026 წლის მაისიდან 2026 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში გაწერა აქტივობები, რომლითაც უზრუნველყოფს სკოლის ეზოში არსებული სანიაღვრე არხისა და დაზიანებული საევაკუაციო კიბის უსაფრთხოების პრობლემის აღმოფხვრას.

სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ეზოში არსებული სანიაღვრე არხისა და დაზიანებული საევაკუაციო კიბის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრა. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 17 აპრილის N 2-20 ბრძანებით. სკოლის შენობის პირველ საულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, კაბინეტის ფართობი აღემატება 12:კვ.მ-ს. უზრუნველყოფილია ხელოვნური და ბუნებრივი განათების წყაროთი. კედლები და იატაკი ექვემდებარება სველი წესით დალაგების შესაძლებლობას. არის

გამართულად ფუნქციონირებადი ხელსაბანი. სამედიცინო კაბინეტში ხელოვნური ბარიერით (გამყოფი პანელი, ტიხრული შირმა) გამოყოფილია მცირე გასასინჯი სივრცე, პაციენტთა გასინჯვისას პრივატულობის უზრუნველყოფის მიზნით. კაბინეტში დამონტაჟებულია კარადები, რომელებშიც განთავსებულია მედიკამენტები, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები, რომელთა გამოყენება დასაშვებია სკოლის მოსწავლეების მიმართ.

სკოლას ჰყავს ექიმი, პირადი საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პერსონალს დიპლომით მინიჭებული კვალიფიკაცია აქვს „ჰიგიენა, ეპიდემიოლოგია, პროფესიული დაავადებების სპეციალობით, ნებადართული სპეციალობა ლაბორატორიული მედიცინა“ აღნიშნული არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებლი ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა დაწესებულებებში/სკოლებში და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სამედიცინო მომსახურების (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესთან. ამავე ბრძანების მიხედვით სკოლას, რომლის მოსწავლეთა რაოდენობა 100-დან 500 ჩათვლით უნდა ჰყავდეს 1 ექიმი, მაგრამ ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში დასაშვებია ჩანაცვლდეს ექთნით.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.4.1.2 ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა, ექიმის სერტიფიკატი, რომელშიც იკითხება, რომ სამედიცინო პერსონალს გავლილი აქვს შპს ქუთაისის ბავშვთა და მოზრდილთა N4 სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრის „მომიჯნავე სპეციალობის ექიმების ოჯახის ექიმად გადამზადების“ სასწავლო პროგრამა, თუმცა, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიცავს 2026 წლის მაისიდან 2026 წლის 30 ივნისის პერიოდს, რომელში გაწერილია აქტივობა, რომ სკოლა გამოაცხადებს ვაკანსიას შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის მოძიებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის ექიმის პოზიციაზე კანონმდებლობით დადგენილი კვალიფიკაციის მქონე პირის დასაქმება. ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების“ დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2026 წლის 28 აპრილის N2-21 ბრძანებით, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს დარაჯი და სკოლის დირექცია, სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი.

სკოლაში დირექტორის 2026 წლის 30 იანვრის N2-11 ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია შემდეგი შემადგენლობით: სკოლის დირექტორი, სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის უსაფრთხოებასა და საზოგადოების წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, მრჩეველთა საბჭოს მდივანი, დისციპლინური კომიტეტის წევრი - მშობელი, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, მრჩეველთა საბჭოს წევრი, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, ქალაქ ცაგერის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი. მრჩეველათა საბჭო პერიოდულად იკრიბება და განიხილავს მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომლების უსაფრთხოების საკითხებს და დირექტორს წარუდგენს საჭირო რეკომენდაციებს. დაწესებულებამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს სხდომების დამადასტირებელი ოქმები. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილ პირთან. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი („112“), განათლების სამინისტროსა და მანდატურის სამსახურის საკონტაქტო ინფორმაცია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს სკოლის მზაობას, საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას ხელს უწყობს სკოლის მიერ შემუშავებული არაერთი მარეგულირებელი წესი, მაგალითად, მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომელშიც გაწერილია მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული წესი არ ითვალისწინებს მხოლოდ პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობას, არამედ, იგი შესაძლოა, გამოყენებულ იქნას იმ შემთხვევებშიც, როდესაც მოსწავლეს გააჩნია სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები. სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია, რომ დისციპლინურ გადაცდომად მიჩნეულია ფსიქოლოგიური ზეწოლა. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებლები მოსწავლეებს აცნობენ თავიანთ უფლებებსა და მოვალეობებს. სკოლამ წარმოადგინა ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა, რომელშიც ასახულია მონიტორინგის შედეგები და აქცენტი გაკეთებულია მოსწავლეებისთვის კეთილგანწყობილ გარემოსა და მათ მიმართ გულისხმიერ დამოკიდებულებაზე.

რომ შევაჯამოთ, სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი, არის გარემო, რომელიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოების განცდას, დაცულია სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესები, აღნიშნული დასტურდება ვიზიტის პერიოდში სასკოლო საზოგაოდების წევრებთან ჩატარებული ინტერვიუირებითაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, აღნიშნული დასტურდება სკოლის დირექტორის განარტებითა და საშტატო ნუსხით, მათი პასუხისმგებლობაა, მოაწესრიგეონ დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები, შესაბამისი ფუნქციები გაწერილია ხელშეკრულებებში.

დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარი არის სათანადოდ მარკირებული და ინახება სპეციალურად გამოყოფილ, ცალკე არსებულ სივრცეში. საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები ინახება სპეციალურად მათთვის გნკუთვნილ ოთახში არსებულ თაროებზე, ჩაკეტილ სათავსოში. შენობაში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სკოლაში არსებული სანიტარული კვანძები მოწესრიგებულია, დაცულია სისუფთავე და აღჭურვილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: საპონი, ხელსახოცი, ქაღალდი, ნარჩენების კალათი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დაწესებულებას მიეცა რჩევა, რომ საყოფაცხოვრებო ქიმიისა და სადეზინფექციო საშუალებებისთვის გნკუთვნილ ოთახში რესურსები განათავსონ ჩაკეტილ სათავსოში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 იანვრის N 2-9 ბრძანებით. წესი ითვალისწინებს, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დადგენილი წესების დარღვევა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობაა, სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც განსაზღვრულია სკოლის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N MES 325 0000315813 ბრძანებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციებს განახორციელებს ცაგერის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომლის მე-6 მუხლში განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვა, კერძოდ, მონაცემები უნდა შეგროვდეს კანონიერი საფუძვლით, სკოლა ვალდებულია, დაიცვას მის ხელთ არსებული მონაცემები შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან. ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით, სკოლა ახორციელებს ელექტრონული ბაზის

ადმინისტრირებას პორტალზე Eschool.emis.ge. ელექტრონულ ბაზაში მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემებზე (Eschool.emis.ge) წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებლს. ბაზებში არსებული მონაცემების შემოწმება/გამოყენება ხდება მხოლოდ სამსახურეობრივი მიზნით, სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე, უფლებამოსილი პირის მიერ, მაგალითად: მოსწავლის მობილობის დროს ან მასწავლებლის საათობრივი დატვირთვის შემოწმების დროს. სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე წვდომა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაძლებელია ჰქონდეს: დირექტორს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, დამრიგებელს, მასწავლებელს, დარაჯს და ექიმს. სკოლის მიერ შემუშავებული წესის მე-14 მუხლში დოკუმენტში დეტალურად არის ჩამოთვლილი რაზე აქვს წვდომა სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებეს, დამრიგებელს, მასწავლებელს, ბუღალტერს, დარაჯსა და ექიმს. განსაზღვრულია მათი პასუხისმგებლობები. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის ზედამხედველობაზე დირექტორის 2026 წლის 8 მაისის N MES 8 26 0000550249 ბრძანებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს არაერთი მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებას, სკოლის დირექტრთან ინტერვიუირებით დადგინდა, რომ სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. რომელიც პასუხიმგებელია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და განვითარებაზე, სკოლამ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს 2025 წლის 24 ოქტრომბრის ოქმი, რომელშიც ჩანს, რომ საბჭო არსებული გამოცდილების გათვალისწინებით წინასწარ გეგმავს განსახორციელელ ღონისძიებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

-სკოლის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
-სკოლის წერილი შენობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობაზე;

-სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა;
-სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
-ექიმის პირადი საქმე;
-პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
-სკოლის დირექტორის 2025 წლის 21 მარტის N MES 325 0000315813 ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ;
-მოსწავლის ადაპტაციის წესი;
-ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
-ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტი;
-რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება;
-მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
-სკოლის შინაგანაწესი;
-უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე პირის განსაზღვრის ბრძანება;
-შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ამონაწერით საჯარო რეესტრიდან N 89.02.24.023 და ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლით დასტურდება, რომ სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლა მდებარეობს ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერში (შენობა-ნაგებობების საერთო ფართით - 1751.06 კვ.მ.). სკოლის შენობა ორსართულიანია და ფუნქციონირებს ერთცვლიან რეჟიმში. სკოლა ფუნქციონირებს ყოფილ საბავშვო ბაღის შენობაში, მისი ინფრასტრუქტურა ეტაპობრივად განიცდიდა განახლებასა და მოდერნიზაციას, თუმცა, შენობას სრული რეაბილიტაცია არ ჩატარებია. სკოლის შენობაში განთავსებულია განახლებული სან. კვანძები გოგონებისა და ვაჟებისთვის, მათ შორის, განთავსებულია ადაპტირებული სან. კვანძი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. სკოლა ავტორიზაციის ვიზიტის წინა პერიოდამდე თბებოდა ღუმელებით, თუმცა ვიზიტის პერიოდში სკოლაში უკვე დამონტაჟებული იყო ცენტრალური გათბობის სისტემა, მოწყობილი იყო საქვაბე, რომელიც ექსპლუატაციაში შევა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლას აქვს პანდუსი. ეზოს წინა ტერიტორიაზე განთავსებულია ფანჩატური, რომელიც როგორც ინტერვიუირების დროს აღნიშნეს, შესვენების პერიოდში მოსწავლეებისთვის დასვენებისა და სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობას ქმნის.

სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, საგნობრივი ჯგუფის სასწავლო რესურსები განთავსებულია სკოლის 2 მცირე ზომის ოთახში, აღნიშნული სივრცე არ გამოიყენება საგაკვეთილო/საექსპერიმენტო მიზნებისთვის და მხოლოდ სათავსოს ფუნქცია აქვს, სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქვს, რომ მოაწყობს შესაბამის სივრცეს, რომელშიც დამონტაჟდება გამწოვი კარადა და ხელსაბანი ნიჟარა.

სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები მოიცავს:

- კომპიუტერულ ლაბორატორიას (3 სტაციონალური კომპიუტერი), რომელიც განთავსებულია შენობის მეორე სართულზე;
- რესურსოთახს და ბიბლიოთეკას, რომელიც განთავსებულია პირველ სართულზე და საგებლობისთვის ხელმისაწვდომია;
- დარბაზს, რომელიც გამოიყენება სპორტული აქტივობებისთვის, დარბაზში განთავსებულია ტენისის მოძრავი მაგიდა და შვედური კედელი. სკოლის ეზოში განთავსებულია სპორტული მოედანი, რომლის რეაბილიტაციაც მიმდინარეობდა ვიზიტის პერიოდში;
- სამედიცინო და მედდის კაბინეტს;

- პერსონალის სამუშაო სივრცეს/სამასწავლებლოს, რომელიც აღჭურვილია მაგიდებით, სკამებით, კარადებით, კომპიუტერითა პრინტერით.
- სან. კვანძებს, მათ შორის ადაპტირებული სან. კვანძი;
- მუსიკალურ დარბაზს, რომელიც აქტიურად გამოიყენება ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ჯგუფის აქტივობებისთვის;
- სამუშაო/სატრენინო ოთახს, რომელიც გამოიყენება მოსწავლეთა სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით ორგანიზებული ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრებისთვის;
- 12 საკლასო ოთახს, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი დგამ-ავეჯით;
- დირექციის კაბინეტებს;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას დირექტორის 2026 წლის 17 აპრილის N 2-19 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომლითაც უზრუნველყოფს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვას და ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობას. დოკუმენტში განსაზღვრულია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიისა და სპორტული ინფრასტრუქტურით სარგებლობის წესები, სკოლას აქვს ბიბლიოთეკის დებულება და მისი სარგებლობის წესები, სასკოლო საზოგადოების წევრებთან ინტერვიუირების პროცესშიც აღინიშნა, რომ სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი მათთვის ხელმისაწვდომია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, რომელიც განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც განსაზღვრულია ბიბლიოთეკის საქმიანობის ძირითადი პრინციპები. წიგნადი ფონდი მოიცავს როგორც მხატვრულ ლიტერატურას, ასევე მეთოდურ და სასკოლო

სახელმძღვანელოებს. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ წიგნები არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. კერძოდ, ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნში ფორმით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი არ არის შევსებული, თაროებზე განთავსებული წიგნების ნაწილს არ აქვს მინიჭებული საინვენტარო ნომრები და არ აქვს დასმული ბეჭედი პირველ და მეჩვიდმეტე გვერდებზე, ასევე, ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად ათწილადი კლასიფიკაციის სისტემის მიხედვით.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.5.1.3 ინდიკატორთან მიმართებით განმარტა, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავდა საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, საინვენტარო წიგნში ფორმით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი შეივსო, წიგნებს მიენიჭა საინვენტარო ნომრები და აქვს დასმული ბეჭედი პირველ და მეჩვიდმეტე გვერდზე, დაწესებულებამ აღნიშნულის მტკიცებულებად წარმოადგინა შევსებული საინვენტარო ჟურნალი, დანომრილი და ბეჭედდასმული წიგნების ნიმუშები, აღნიშნულიდან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს. სკოლაში მოწყობილია პანდუსი, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია შენობის პირველ სართულზე დაუბრკოლებლად გადაადგილება. პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი, მუსიკალური და სპორტული დარბაზები, სამედიცინო ოთახი და დაწყებითი საფეხურის კლასები.

თუმცა, სკოლის საერთო სარგებლობის ყველა სივრცე და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომი არ არის. ფაქტობრივი მდგომარეობის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ კომპიუტერული ლაბორატორია განთავსებულია შენობის მეორე სართულზე, ხოლო შენობა სრულად ადაპტირებული არ არის. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ვერ არის უზრუნველყოფილი მეორე სართულზე განთავსებულ საერთო სარგებლობის სივრცეებსა და კურიკულუმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებზე, მათ შორის კომპიუტერულ ლაბორატორიაზე, თანაბარი ხელმისაწვდომობა.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.5.1.4 ინდიკატორთან მიმართებით განმარტა, რომ სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი, მოეწყობა სკოლის შენობის პირველ სართულზე და სკოლაში მოეწყობა ინკლუზიური გარემო, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაც, რომელშიც 2026 წლის ინისიდან 2026 წლის 15 ნოემბრამდე პერიოდში გაწერა შესაბამისი აქტივობები, **აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლას**

ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს სკოლის შენობაში ფიზიკური ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიური გარემოსთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა და სამკითხველო სივრცე, სპორტული მოედანი, მუსიკალური დარბაზი, ასევე სკოლის ეზოში მოწყობილია ფანჩატური, რომელიც გამოიყენება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური და ფორმალურსგარე ურთიერთობებისთვის.
მუსიკალურ დარბაზში მოწყობილია სცენა, რომელსაც სკოლა აქტიურად იყენებს სახელოვნებო დადგმებისა და სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების ჩასატარებლად. სკოლის დერეფნებსა და საკლასო ოთახებში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები, რაც ხელს უწყობს შემოქმედებითი გარემოს შექმნას.
სკოლას აქვს როგორც მოკლე და საშუალოვადიანი, ისე გრძელვადიანი პროექტების განხორციელების გამოცდილება, მათ შორის პროექტი, რომელიც რამდენიმე წელია მიმდინარეობს და მოსწავლეებში სამეწარმეო უნარების განვითარებას ემსახურება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში სპეციალურად აღჭურვილ სივრცეში ტარდება სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები და სხვადასხვა აქტივობები.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ფაქტობრივი გარემოს დათვალიერებისა და სასკოლო საზოგადოების წევრებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში შექმნილია უსაფრთხო, მეგობრული და მხარდაჭერაზე ორიენტირებული გარემო, რომელიც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები, ასევე გაკვეთილების შემდეგ დარჩნენ, დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა ინიციატივები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

-ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
-სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;

-სკოლის ინვენტარიზაციის მასალები;
-მიღება-ჩაბარების აქტები;
-სკოლის ბიბლიოთეკის დებულება;
-ბიბლიოთეკის საინვენტარო წიგნი;
-შენობის ვიზუალური დათვალიერება;
-შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული ლაბორატორია. ფაქტობრივი მდგომარეობისა და ინვენტარიზაციის დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლა აღჭურვილია სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვისთვის საჭირო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით.

კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 3 კომპიუტერი. დირექტორის, ბიბლიოთეკის, საქმისწარმოებისა და ექიმის კაბინეტებში განთავსებულია თითო კომპიუტერი. სკოლას ასევე აქვს 4 პროექტორი, 1 ინტერაქტიური დაფა, 2 ფერადი და 4 შავ-თეთრი პრინტერი. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით.
ადმინისტრაციული მართვა და საქმისწარმოება ხორციელდება საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ხოლო მასწავლებლები სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებსა და ინტერნეტრესურსებს. დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ არსებული კომპიუტერული ტექნიკა პროგრამულად გამართულია და გამოიყენება საგანმანათლებლო პროგრამებთან შესაბამისობაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სკოლას მიეცა რჩევა, სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, კომპიუტერულ ლაბორატორიაში გაიზარდოს კომპიუტერების რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს ტექნოლოგიებზე უფრო ფართო ხელმისაწვდომობას როგორც საგაკვეთილო, ისე არასაგაკვეთილო პროცესში

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის შენობის ვიზუალური დათვალიერებისა და სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ კომპიუტერული ტექნიკა და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე სკოლის პერსონალისთვის.
რესურსებით სარგებლობის საკითხებს არეგულირებს სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 აპრილის N 2-19 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლაში მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“, რომელშიც განსაზღვრულია კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების პირობები, მიზნობრიობა და ხელმისაწვდომობის წესი.
სკოლაში არსებული კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია 3 სტაციონარული კომპიუტერით. პერსონალთან და მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღნიშნული სივრცე გამოიყენება არა მხოლოდ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაკვეთილებისთვის, არამედ საშინაო დავალებების შესასრულებლად, მასალების მოსაძიებლად, პრეზენტაციების მოსამზადებლად და სხვა საგანმანათლებლო აქტივობებისთვის. მასწავლებლები აღნიშნულ რესურსებს იყენებენ სასწავლო მასალების შექმნისა და ორგანიზებისთვის.
სკოლის დირექტორის 2026 წლის 8 მაისის N MES 826 0000550249 ბრძანებით, კომპიუტერული ტექნიკის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სკოლის საქმისმწარმოებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

-სკოლის მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
-სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
-კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მიერ 2026 წლის 28 იანვარს N 2-10 ბრძანებით, დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლაში დოკუმენტების მოძრაობის ერთიან ციკლს, მისი შექმნის ან შემოსვლის (მიღების) მომენტიდან, მის შესრულება-გაგზავნამდე (შენახვა/განადგურების ჩათვლით). დოკუმენტისა და ვიზიტის ფარგლებში ფაქტობრივი მოცემულობის საფუძველზე დგინდება, რომ დაწესებულებაში იწარმოება შემდეგი სახის აღრიცხვის ჟურნალები: 1. შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; 2. გასული დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალი; 3. საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი; 4. საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი; 5. თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი; 6. ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი მოსწავლეთათვის 7. ცნობების გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი მასწავლებელთათვის და სხვა თანამშრომლებისათვის, წესში განსაზღვრულია გამოცემული აქტების, კორესპონდენციის, აღრიცხვის პროცედურები, ასევე ანგარიშგებებისა და შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირების პერიოდები და პროცედურა. სკოლაში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი, მისი ფუნქციები ხელშეკრულებითაა განსაზღვრული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის სისტემა Eflow -ს პროგრამას, სკოლა, ასევე, სარგებლობს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ადმინისტრირებულ ერთიანი პლატფორმით eSchool.emis.ge, აღნიშნულში სკოლას

ასახული აქვს სკოლის ძირითადი მონაცემები. სკოლას კორესპონდენციის მისაღებად, ასევე ინფორმაციის გაცვლისთვის იყენებს ელ. ფოსტას Kvedatsageri@mes.gov.ge. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში იქნა ნანახი სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფომრაციო სისტემაში, დადგინდა, რომ სკოლას ასახული აქვს იურიდიული და ადმინისტრაციული მონაცემები, მისამართი, მოსწავლეთა და პერსონალის ინფორმაცია, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ არჩეული სახელმძღვანელოები კლასებისა და სექტორების მიხედვით და სისტემაში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვანი პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან. სკოლა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან, ასევე, სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სხვადასხვა საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან კომუნიკაციას ამყარებს საგანმანათლებლო რესურსცენტრის საშუალებით, სკოლა იყენებს ელექტრონულ საშუალებებს, აღნიშნული ურთიერთობა მოიცავს როგორც კონსულტაციებსა და ნებართვების შეთანხმებას, ასევე ინფორმაციის მიწოდებას ფინანსური, ადმინისტრაციული ან სტრუქტურული ხასიათის საკითხებზე. აღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლა სისტემატურად, დროულად, აწვდის ინფორმაციას სახელმწიფო და დარგობრივ ინსტიტუტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

-სკოლის საქმისწარმოების წესი;
-Eschool -ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება;
-გასული და შემოსული კორესპონდენციები / აღრიცხვის ჟურნალები;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლაში შემუშავებულია სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, აღნიშნული არეგულირებს დაინტერესებული მხარეების ინფორმირების მექანიზმებს, ცნობადობის ამაღლების ღონისძიებებს და მათი ჩატარების გზებს, აღწერს შიდა და გარე კომუნიკაციის წარმართვის პროცესს და ელექტრონული ფოსტის მართვის პრინციპებს. წესი ითვალისწინებს აღნიშნული მიმართულებით დაინტერესებული მხარეებისგან მიღებული უკუკავშირის გამოყენებას გაუმჯობესების მიზნებისთვის.
სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლის სახელზე შექმნილია ოფიციალური პროფილი შემდეგ მისამართზე: https://skolebi.emis.ge/, სადაც სკოლას განთავსებული აქვს შესაბამისი ინფორმაცია და ის ასრულებს საკომუნიკაციო საშუალების ფუნქციას. გარდა ამისა, სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი და იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას. სკოლის დირექტორის 2024 წლის 30 დეკემბრის N 77 ბრძანებით განსაზღვრულია ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლაში შემუშავებულია სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, სკოლა საზოგადოებასთან შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს სკოლის ვებგვერდს - https://bit.ly/4bg4IoI, ელექტრონულ ფოსტას - kvedatsageri@mes.gov.ge და ოფიციალურ Facebook გვერდს. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული საგანმანათლებლო პროექტების, ღონისძიებების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადებისა და სხვა აქტივობების შესახებ. ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის საქმისმწარმოებელს. აკადემიური მოსწრების მონაცემები განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელიც ხელმისაწვდომია შესაბამისი მასწავლებლებისა და მოსწავლეების მშობლებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სსიპ ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ცაგერის საჯარო სკოლაში შემუშავებულია სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი, წესის მე-10 მუხლით გათვალისწინებულია უკუკავშირის შედეგები და ანალიზი, კერძოდ, წესში იკითხება, რომ საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებით შემოსული შეკითხვების, ინიციატივებისა და შენიშვნების ანალიზი. უკუკავშირის ანალიზის შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის, ხშირად დასმული შეკითხვების პასუხები აკუმულირდება ვებ.გვერდსა და Facebook გვერდზე, რაც პერიოდულად ექვემდებარება განახლებას. სკოლის დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ უკუკავშირის მიღებული მოსაზრებები და რეკომენდაციები რეგულარულად განიხილება და გამოიყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, სკოლაში არსებული უკუკავშირის მიღებისა და გამოყენების პრაქტიკა დოკუმენტურად აღირიცხოს, რაც ხელს შეუწყობს მიღებული ინფორმაციის სისტემურ ანალიზსა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობას.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს ვებგვერდი - https://bit.ly/4bg4IoI რომელზეც სკოლის შესახებ საჯარო ინფორმაცია არის განთავსებული და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის, ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები,**

მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

ავტორიზაციის ვიზიტის დროს შემოწმდა სკოლის ვებგვერდი, რომელზეც სრულყოფილად არ არის განთავსებული ინფორმაცია სკოლის შესახებ, კერძოდ, არ არის განთავსებული შემდეგი ინფორმაციები: მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები; ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში.
სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 3.6.3.5 ინდიკატორთან მიმართებით განმარტა, რომ სკოლის ვებ.გვერდზე ატვირთულია ინფორმაცია მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების, გასაჩივრების მექანიზმების, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშების შესახებ, აღნიშნული დასტურდება ფაქტობრივი დათვალიერებითაც, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

-სკოლის ვებგვერდის https://bit.ly/4bg4IoI დათვალიერების შედეგები;
-სკოლის სოციალური ქსელის ვიზუალური დათვალიერება;
-შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით. სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო სკოლას ურიცხავს სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ფულად სახსრებს. სკოლამ წარმოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 08.12.2025 წლის N 6 სხდომის ოქმით, სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული ფინანსური რესურსით შესაძლებელია სამოქმედო გეგმის განხორციელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. სკოლაში შესყიდვები ხორციელდება დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესაბამისად, ბიუჯეტის კორექტირებისთვის სკოლა მიმართავს სამეურვეო საბჭოს. სკოლისათვის საჭირო შესყიდვები ხდება ბაზრის კვლევის საფუძველზე. სკოლას ბრძანებით გამოყოფილი ყავს შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის ბუღალტერი. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი წარსდგება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე წლის ფინანსური ანგარიშით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

-სკოლის ბიუჯეტი;
-სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
-სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
-სკოლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი;

-სახელმწიფო შესყიდვების გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში შექმნილია მოსწავლეებისთვის უსაფრთხო გარემო. მოსწავლეების უფლებები დაცულია: სკოლის შინაგანაწესით, მოსწავლეთა ადაპტაციის წესით, მშობლებთან ურთიერთობის წესითა და სხვა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, აგრეთვე, აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. შინაგანაწესი ითვალისწინებს მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესებს, გადაცდომის სახეებსა და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს. კანონიერი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ყველა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტს იცნობს სასკოლო საზოგადოება და ამავდროულად საჯაროდაა ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია შინაგანაწესი. შინაგანაწესსა და მასში განხორციელებულ ცვლილებებს დამრიგებლები განიხილავენ მშობელთა კრებებზე. მოსწავლეებმა, მშობლებმა, მასწავლებლებმა იციან უფლების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების პროცედურები. ბავშვთა უფლებების შესახებ ინფორმაცია ზიარდება სხვადასხვა გზით: მშობელთა კრების, საინფარმოციო დაფისა და სოციალური ქსელის საშუალებით. დაინტერესებული მხარეებისათვის ცნობილია მოსწავლეთა სიაში ჩარიცხვის, ამორიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესი, სსსმ მოსწავლეების შეფასების წესი და ისგ შექმნის რეგულაციები. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება,აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებს მისი გაცნობის ფაქტს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლას მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია მათი უფლებები და მოვალეობებები. მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ხელის მოწერით ადასტურებს შინაგანაწესისა და ხელშეკრულების პირობების გაცნობას . სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებშიც გაწერილია ხელშეკრულების საგანი, მხარეთა უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების ვადა და შეწყვეტის წესი, პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი. მშობელი ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის და სასწავლო პროცესის რეგულაციების წესი;
- ✓ მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
- ✓ მშობელთა კრების ოქმი.
- ✓ სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.
- ✓ ბრძანება N 2-8 სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.

- ✓ სკოლის შინაგანაწესი.
- ✓ მშობლის თანხმობა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნული წესი არეგულირებს სკოლაში მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალს და მოსწავლის ჩარიცხვის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურებს. დოკუმენტი ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: სკოლაში პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვა, რეგისტრაცია და მისი ეტაპები; სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და ჩარიცხული მოსწავლეების შესახებ მონაცემების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახვა; მოსწავლის სტატუსის შეჩერება; მოსწავლის შეჩერებული სტატუსის აღდგენა; მოსწავლეთა მობილობის წესი; მობილობისას განსახორციელებელი პროცედურები; მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა; მოსწავლის პარალელური კლასიდან სხვა პარალელურ კლასში გადასვლა; პასუხისმგებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების სისწორეზე; დოკუმენტი თანხვედრაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები. ეს დასტურდება სკოლის შიდა მარეგულირებელი წესების, ბრძანებების, მოსწავლეთა პირადი საქმეებისა და

მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტებით და საქმისწარმოებით დასტურდება, რომ დირექტორის მ ბრძანების საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის ჩარიცხვა, კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა. მოსწავლის ჩარიცხვა ხდება მშობლის / კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, დაცულია პროცედურები და ვადები; კანონთან შესაბამისობასია სკოლაში ჩარიცხვის მსურველი პირის მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის შიდა პოლიტიკისა და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის, აგრეთვე სასწავლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მშობლებს მიეწოდებათ დამრიგებლების მიერ. სკოლის შინაგანაწესი, რომელიც აღწერს ქცევით ნორმებს, თვალსაჩინოდ არის განთავსებული სკოლის შენობაში, ასევე, ვებ გვერდზე. მოსწავლეები ჩართულნი არიან საკლასო ქცევის წესების შექმნაში, რომელიც შეესაბამება სკოლის შიდა პოლიტიკას. სკოლაში დამატებითი მომსახურება ხორციელდება კლუბური საქმიანობისა (სამოქალაქო კლუბი, ეკო კლუბი, აგრო კლუბი, მკითხველთა კლუბი) და ე.წ სააბიტურიენტო წრეების (ქართულ ენაში, მათემატიკაში, ინგლისურ ენასა და ისტორიაში) სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ვალდებულებაა კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებადი და არადისკრიმინაციული ინფორმაციის გავრცელება.სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც შემდგომში უზიარებენ ინფორმაციას როგორც მოსწავლეებს, ასევე მათ მშობლების/კანონიერ წარმომადგენლებს. სკოლა მუდმივად აახლებს ინფორმაციას სოციალურ ქსელსა და ვებ გვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

✓ სასკოლო სასწავლო გეგმა.

✓ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის და სასწავლო პროცესის რეგულაციების წესი.

✓ მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

✓ სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.

✓ სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.

✓ სკოლის შინაგანაწესი.

✓ საფეხურის დაძლევის ბრძანებები.

✓ მოსწავლის ჩარიცხვის/ამორიცხვის, სტატუსის აღდგენის/შეჩერების ბრძანებები.

✓ სკოლის ვებ-გვერდი და ფეისბუქ გვერდი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის ადაპტაციის წესი“ . მოსწავლის ადაპტაციაში ჩართულია როგორც დამრიგებელი, ასევე დირექცია, მშობელი და კლასი. სკოლაში ჩამოყალიბებულია სისტემური და დოკუმენტურად განსაზღვრული მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის სწრაფ, თანმიმდევრულ და ჰარმონიულ ინტეგრაციას სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლის ადაპტაციის დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით და განსაზღვრავს ადაპტაციის პროცესის ეტაპებს, პასუხისმგებელ პირებსა და განხორციელების ფორმებს.
სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) ჯგუფი, რომელიც შეიმუშავებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ გეგმას. სკოლა, კანონმდებლობისა და მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართვას. აღნიშნული პრაქტიკა შეესაბამება ინკლუზიური განათლების პრინციპებს და უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას სასწავლო პროცესზე.
დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ ადაპტაციის მექანიზმი არ არის ფორმალური ხასიათის, არამედ წარმოადგენს რეალურად მოქმედ ინსტრუმენტს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის უფლებების დაცვას, ფსიქო-ემოციურ სტაბილურობასა და სასწავლო პროცესში ჩართულობას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლას აქვს დამკვიდრებული პრაქტიკა, რომელიც მიმართულია სწავლის დაწყების მომენტიდან სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობისათვის. პირველკლასელთათვის ეწყობა ღონისძიება, სასკოლო სივრცის დათვალიერება. ეწყობა მშობლებთან შეხვედრები, რა დროსაც ხდება მათი ინფორმირება. დამრიგებლები მოიპოვებენ ინფორმაციას მოსწავლეთა საჭიროებების შესახებ. სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მიმდინარე მუშაობა აგრეთვე, უზრუნველყოფს მოსწავლის ადაპტაციას.სკოლაში ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია ნებისმიერი თავისუფალი სივრცე, სადაც მათ შეუძლიათ ინოვაციური იდეების, ინიციატივების შესახებ მსჯელობა, გაანალიზება, შემდეგ კი დაგეგმვა და რეალიზება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში მუშაობს რემედიაციის პროგრამა. საგნის მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ დამრიგებლებთან და მშობლებს დროულად აწვდიან ინფორმაციას. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი შეფასება . საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები ატარებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს მოსწავლეებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

საქმისმწარმოებელთან, დირექციასთან გასაუბრებითა და Eflow სისტემის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა, საგაკვეთილო პროცესიდან გაყვანა და სხვა) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერასა და არაფორმალური განათლების წახალისებას. დირექციასთან, მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად დასტურდება, რომ სხვადასხვა საგანში განხორციელდა საინტერესო პროექტები როგორც სკოლის , ისე მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის მასშტაბით. სკოლის ადმინისტრაციისა და სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერით მოეწყო არა ერთი ექსკურსია, სპორტული და ინტელექტუალური შეჯიბრი, როგორიცაა ტვინების ბრძოლა, ევროპული ენების დღე. სკოლას 2023 წლიდან გაფორმებული აქვს მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომელიც ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესში გამოცდილების გაზიარებას, რომლის ფარგლებშიც არა ერთი საინტერესო აქტივობა დაიგეგმა და განხორციელდა. სკოლის ბაზაზე დაარსებულია აგრო კლუბი, რომელიც ხელს წუყობს მოწავლეებს, რომ შეისწავლონ მეფუტკრის პროფესია. ჰყავთ ფუტკარი და ხდება თაფლის რეალიზაცია, მიღებულ თანხას კი იყენებენ წარმოების გასავითარებლად. სკოლა იწვევს კომპეტენტური სპეციალისტებს მეფუტკრეობის მიმართულებით. სკოლაში ფუნქციონირების სამოქალაქო განათლების კლუბიც,რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებს მოპოვებული აქვთ არა ერთი გრანტი. მოპოვებული დაფინასების საშუალებით კეთილმოეწყო სკოლის გარე სივრცე. სკოლა ჩართულია პილოტირების პროცეში, 2025-2026 სასწავლო წლიდან მე-9 კლასში მიმდინარეობს სამხედრო საქმის სწავლება, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები პერიოდულად სტუმრობენ ხონის თავდაცვის ძალების

სამხედრო ბაზას. სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გადაეცა სამხედრო საველე აღჭურვილობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას

მოსწავლეთა ხმის მიღების ერთ-ერთი მექანიზმი სკოლის სამეურვეო საბჭოა. სამეურვეო საბჭოში მოსწავლეთა წარმომადგენელს შუძლია გააჟღეროს მოსწავლეთა ინიციატივები ან სკოლას შესთავაზოს აქტუალური პრობლემის გადაჭრის გზები. მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან გასაუბრებით ირკვევა, რომმ აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობაც, რომელთა ინიცირებითაც სკოლაში არა ერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა, როგორიცაა: დასუფთავების აქცია სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მიუსაფარი ძაღლების დაბინავება, სკოლასთან ზებრა-გადასასვლელის მოწყობა, ბიბლიოთეკის აღჭურვა წიგნებით, სკოლის სპორტული ინვენტარის გამრავალფეროვნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა.
- ✓ ბრძანება 2-16 მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი
- ✓ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის და სასწავლო პროცესის რეგულაციების წესი.
- ✓ მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.
- ✓ სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.
- ✓ სკოლაში განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი.
- ✓ სკოლის შინაგანაწესი.
- ✓ საფეხურის დაძლევის ბრძანებები.
- ✓ მოსწავლის ჩარიცხვის/ამორიცხვის, სტატუსის აღდგენის/შეცერების ბრძანებები.
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები.
- ✓ სამხედრო საქმე, მიღება-ჩაბარების აქტი.
- ✓ სკოლის ფეისბუქ გვერდი

- ✓ ეკო-კლუბის სამუშაო გეგმა და წესდება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის სკოლას აქვს სხვადასხვა ღონისძიების განხორციელების გამოცდილება. სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მეომრანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან. სკოლაში პედაგოგიური პრაქტიკა გაიარა უნივერსიტეტისგან გამოგზავნილმა ხუთმა სტუდენტმა. აგრეთვე, კლასის საათის ფარგლებში დამრიგებლები წარმართავენ საუბრებს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით. სკოლის მასწავლებლები უფასო მომსახურებას უწევენ საშუალო საფეხურის მოსწავლეებს ქართულ ენაში, ინგლისურ ენაში, მათემატიკსა და ისტორიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს აქტიურად იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში მე-9, მე-10 , მე-11 და მე-12 კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. აგრეთვე, სკოლის მიმართვის საფუძველზე უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები აწყობენ ღია კარის დღეებს აბიტურიენტებისთვის, როგორც პირისპირ, ისე ონლაინ ფორმატში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლას აქვს სკოლის საჭიროებისა და პრაქტიკის კვლევების გამოცდილება. სკოლა იკვლევს კურსდამთავრებულთა მიღწევებს და ითვალისწინებს მას შემდგომ საქმიანობაში. აგრეთვე, პერიოდულად სკოლაში იწვევენ კურსდამთავრებულებს, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას უზიარებენ მოსწავლეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია.
- ✓ აბიტურიენტებთან მუშაობის პროგრამა საშუალო საფეხურზე
- ✓ მემორანდუმები.
- ✓ დამრიგებლის სამოქმედო გეგმა და ანგარიშები
- ✓ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მასალები.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. ყოველი სასწავლო წლისთვის მტკიცდება სწავლასთან დაკავშირებული სირთულის მქონე მოსწავლეთა პირველადი მართვის გეგმა, რომელშიც გაწერილია სამუშაო მიმართულებები, აქტივობები და პასუხისმგებელი პირები. სკოლაში შექმნილია სსსმ და შშმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული გარემო, მოწყობილია პანდუსი. სკოლაში დასაქმებულია 2 უფროსი სპეციალური მასწავლებელი, 1 ფსიქოლოგი და 1 ასისტენტი. შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფი, რომელის მუშაობა წარიმართება კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში წარმოებს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის

შესაბამისად. სკოლას აქვს სასწავლო და ტექნიკური რესურსებით აღჭურვილი რესურს ოთახი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სასკოლო საზოგადოება (სპეცმასწავლებელი, ფსიქოლოგი, დამრიგებელი, საგნის მასწავლებელი) აქტიურადაა ჩართული სსსმ მოსწავლეთა სწავლა-განვითარების პროცესში. სსსმ მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს რესურს-ოთახში, რომელიც აღჭურვილია საჭირო საგანმანათლებლო და განმავითარებელი რესურსით. ასევე სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა ხორციელდება სკოლის სხვა სივრცეშიც. სპეციალური მასწავლებელი ახდენს სირთულეების იდენტიფიცირებას და წერილობით ან სიტყვიერ რეკომენდაციას აძლევს საგნის მასწავლებლებს. ვიზიტის პერიოდში ჩატარებული გასაუბრებით გამოვლინდა, რომ სსსმ მოსწავლის მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობის პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ისგ ჯგუფის სხდომის ოქმი
- ✓ სპეციალური მასწავლებლის რესურს ოთახში მუშაობის რეფლექსია
- ✓ სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია და წესი.
- ✓ ინდ. გეგმები
- ✓ ისგ ჯგუფის ბრძანება.
- ✓ სპეციალური მასწავლებლის 1-ლი სემესტრის ანგარიში
- ✓ ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა 2025-2026

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა დამატებით არასავალდებულო საქმიანობას ახორციელებს სააბიტურო წრეებისა და სასკოლო კლუბების სახით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა აქტიურად უზრუნველყოფს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების აქტივობების წახალისებას, სკოლაში ხორციელდება როგორც სასკოლო, ისე საერთაშორისო დონის პროექტები, გაწერილია სამოქმედო გეგმები, აქტივობები, მიმდინარეობს საწრეო მუშაობა. მოსწავლეებისათვის დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების შეთავაზება თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. სკოლა უზრუნველყოფს სკოლიდან მოშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტირებას. მშობლები წინასწარ არიან ინფორმირებულნი მოსწავლეთა სამუშაო შეხვედრების რაოდენობისა და ხანგრძლივობის შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა აცხადებს მზაობას, დამატებითი მომსახურება განხორციელდეს უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვითა და მოსწავლეთა ინტერესების გათვალიწინებით. სკოლას აგროკლუბ „ნექტარისთვის“ გამოყოფილი აქვს ცალკე კაბინეტი, რომელშიც დაცულია მოსწავლეთა უსაფრთხოება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

✓ წრეობრივი სწავლების გეგმები

✓ პროექტები

✓აგროკლუბ „ნექტარის“ სამუშაო გეგმა

✓ბრძანება მოსწავლეთა გადაადგილებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი განათლების საფეხური	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო განათლების საფეხური**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საშუალო განათლების საფეხური**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტისა და სკოლაში გასაუბრების მიხედვით, სასკოლო კურიკულუმის შემუშავება იწყება წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე და ამ პროცესში ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად მიიჩნევა მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა, სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების გათვალისწინება. კათედრა საგნობრივი საკითხების საკლასო სივრცეში დასამუშავებლად და საგნობრივი კურიკულუმის შექმნისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესში კონსტრუქტივისტული მეთოდიკის გამოყენებას. მშობელთა და მოსწავლეთა მხრიდან გაკეთებული უკუკავშირები, რეფლექსიებით გამოკვეთილი გამოწვევები და მიღწევები, განმავითარებელი შეფასების სისტემა, არაფორმალური და ფორმალური განათლების ინტერვენციები ბუნებრივად უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კურიკულუმში ასახვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის ყველა საგნის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები, საგნობრივ გეგმაში წარმოდგენილი კომპონენტები: სასწავლო თემები, საკითხები, რესურსები, შერჩეული შემოქმედებითი დავალებები ეფუძნება წინარე გამოცდილებას, კოლეგებისა და მშობლების უკუკავშირს, მოსწავლეთა თვითშეფასებას, შესაბამისად, ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ საგნობრივ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში. ის ვითარდება მოსწავლეების მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს.

კურიკულუმი შემუშავებულია გუნდურად, სადაც გაითვალისწინეს თითოეული მასწავლებლის მოსაზრება, სკოლის დირექცია ფასილიტაციასა და მონიტორინგს უწევს კათედრაზე შეხვედრებს. სკოლაში აქტიურად მიმდინარეობს მშობელთა აზრის გათვალისწინება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

ინტერვიუს შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები იქმნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად; კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობითა და ჩართულობით. კურიკულუმები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე და შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმიდან ირკვევა და ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს მასწავლებლებმა, კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე. მუშაობის დროს ითვალისწინებდენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას. კომპლექსური დავალებების შერჩევაში კათედრის თითოეულმა წევრმა მიიღო მონაწილეობა. ამ პროცესში გათვალისწინებული იყო სკოლის მისია და ხედვა, მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა, მშობელთა მოსაზრებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, სამივე საფეხურზე სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: მშობელთა კრება, სადამრიგებლო საათი, სკოლის ვებგვერდი, სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტა, სკოლის დერეფნის კედლებზე განთავსებული საინფორმაციო დაფები, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, ბეჭდვითი მასალები, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. საგნობრივი კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. როგორც კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტიდან და მასწავლებლების ინტერვიუდან ირკვევა, მუდმივად ხდება კათედრათა შორის ინფორმაციის გაცვლა, თანამშრომლობა, მშობელთა ინფორიმირება. ინფორმაცია მიეწოდებათ უკუკავშირის მიღების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- ✓ საგნობრივი კათედრის სხდომის ოქმები;
- ✓ პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები;
- ✓ მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ✓ სადამრიგებლო პროგრამა.
- ✓ მშობელთა კრების ოქმები
- ✓ შემოქმედებითი დავალებები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი, დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმები შედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან. კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებები იდეების სახით ასახულია კურიკულუმის ჩარჩოში, შესაბამის სავალდებულო თემებში. *რჩევა:* ***დაწყებითი საფეხური*** *- სასურველია, ყველა საგნობრივ ჩარჩოში იყოს მითითებული სასწავლო წელი, საგნის მასწავლებელი,საათობრივი განაწილება სკოლის მიერ შერჩეული კვირეული საათის გათვალისწინებით სასწავლო თემების მიხედვით (მაგ.1-ლი და მე-2 კლასი), ტექნიკურად გასწორდეს ყველა ფაილი (მაგ, ჩარჩოს ქუდი მე-3 კლასში, ზუსტად მიეთითოს კლასი ჩარჩოს ზემოთ, მაგ მე-5 კლასი), შემოწმდეს ყველა ბმული რესურსების გრაფაში (მაგ მე-2 კლასი).*

	სამივე საფეხური *- სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოების ქვეშ მითითებული იყოს კომპლექსური/შემოქმედებითი დავალება დეტალური სახით, რომლის განხორციელებასაც გეგმავს მასწავლებელი, დავალების პირობას თან დაერთოს შეფასების კრიტერიუმები გრძელვადიან შედეგებთან მიმართებით.* **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე წარმოდგეილი კურიკულუმი წაროადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. წარმოდგენილი კომპლექსური თუ შემაჯამებელი დავალებები, მოიცავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები სრულ შესაბამისობაშია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან და ითვალისწინებს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს. იგი უზრუნველყოფს უცხოურ ენებზე დაფუძნებული სწავლების სისტემურ, თანმიმდევრულ და გრძელვადიან პროცესს სამივე საფეხურზე. **რჩევა**:რეკომენდებულია,რომ კურიკულუმში და შემოქმედებით დავალებებში გათვალისწინებული იყოს დიფერენცირებული სწავლების აქტივობები,დავალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით წარმოდგენილ სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში სტრუქტურული ერთეულები გამართულია. კურიკულუმის ცხრილებში მოცემულია: სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად. შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია შემოქმედებითი პროდუქტების იდეები და მათ განსახორციელებლად საჭირო რესურსები. რომელთა შერჩევა მოხდა კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით.აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ,რომ შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **რჩევა:** სახვით და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმში(V-VIკლ.) სასურველია, დაემატოს ესგ-ის მიხედვით სამივე სავალდებულო თემატური ბლოკი. ეს სტრუქტურული

	ცვლილება უზრუნველყოფს კურიკულუმის სრულ სიცხადეს, სტანდარტთან შესაბამისობას და მასწავლებელს გაუადვილებს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურად დაგეგმვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება შემოქმედებითი ტიპის დავალებებს, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. კურიკულუმებში ასახულია აქტუალური, ნაცნობი თემები, კონტექსტ მაგალითები და მრავალფეროვანი რესურსები, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **რჩევა:** გააგრძელონ მუშაობა კურიკულუმზე და სამომავლოდ გაამდიდრონ ის სხვადასხვა ტიპის შემოქმედებითი დავალებებით. ეს ხელს შუწყობს როგორც მოსწავლეების მოტივაციის გაზრდას, ისე მათი მიღწევების შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მიემართება მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას. კურიკულუმში მოცემული მრავალფეროვანი აქტივობები და სასწავლო რესურსები, ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ კურიკულუმის ჩარჩოები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე

	ორიენტირებული მიდგომის საფუძველზე. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, განსაზღვრულია სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და საკითხები, წარმოდგენილი დავალებების იდეები და კონტექსტები დაკავშირებულია მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, რაც ხელს უწყობს მათი ინტერესის, მოტივაციისა და აქტიური ჩართულობის გაზრდას. ინტერვიუს პროცესში აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით, სკოლამ განაახლა მე-5 კლასის კურიკულუმის ჩარჩო და დაამატა ცნება „ალგორითმი“, რაც მიუთითებს სკოლის მზაობაზე, კურიკულუმი განავითაროს და მოარგოს ეროვნულ მოთხოვნებსა და სასწავლო მიზნებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს სამინისტროს მიერ რეკომენდებულ ინტერაქტიულ ელექტრონულ რესურსებს (school.emis.ge), დამატებით საგანმანათლებლო მასალებს — სულაკაურის გამომცემლობის „ციფრულ სამყაროს“ და ნანა ნოზაძის სავარჯიშოების კრებულს, რაც მრავალფეროვანსა და მოსწავლეზე მორგებულ სასწავლო გარემოს ქმნის. აღსანიშნავია მასწავლებლის მზაობაც, სწავლების პროცესი ორიენტირებული იყოს გრძელვადიან მიზნებსა და საფეხურის შედეგებზე, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ეტაპობრივ და მდგრად განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სტანდარტის შესაბამისი მოცემული დავალებები არის საინტერესო და მრავალფეროვანი; თუმცა არსებობს მცირედ განსხვავება სხვადასხვა კლასის კურიკულუმის ჩარჩოებს შორის, კერძოდ, ზოგიერთ კომპონენტი ყველგან არ გვხვდება. ასევე, შეინიშნება მცირედი უზუსტობები კურუკულუმ შევსებისას . სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივ სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნას მიღწეული. გაწერილი თემებ აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევ თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებებ მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს.

	რჩევა: სასურველია კათედრაზე შეთანხმებულ იქნას ოთხივე საგნის (ქართული ენა, მათემატიკ ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება) და შემუშავებული იყოს საერთო კურიკულუმ ჩარჩო, თითოეულმა მასწავლებელმა ამის მიხედვით შეადგინოს საგნობრივი კურიკულუმ ასევე მოხდეს ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე უკვე არსებული კურიკულუმებ გადახედვა/გადასინჯვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებითი და საბაზო-საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მიმართულების კურიკულუმებში ასახულია გრძელვადიანი და შუალედური მიზნები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმები, სამივე საფეხურზე ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს, რაც დასტურდება სასწავლო პროცესის გრძელვადიან მიზნებზე ორიენტაციით. კურიკულუმში გაწერილი საკითხების დამუშავება ხდება კომპლექსური/შემოქმედებითი ტიპის დავალებებით და პროექტებით,სადაც იკვეთება ცოდნის აგებაზე ორიენტირებული აქტივობების შეთავაზება და მრავალფეროვნი ელექტრონული რესურსის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას , დამოუკიდებელ აზროვნებას და ცოდნის კონსტრუირებას .კათედრამ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, კათედრის ოქმი, რის საფუძვეზეც შეიძლება ითქვას,რომ კათედრის წევრები ერთობლივად მუშაობენ.ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ კომპლექსური ბუნების დავალებებზე დაფუძნებული სწავლების გამოცდილება, რაც საბოლოოდ ადასტურებს რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე

	ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებთან.იგი ორიენტირებულია მოსწავლეთა კომუნიკაციური უნარების განვითარებაზე, კულტურული ცნობიერების ამაღლებაზე, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების გაძლიერებასა და სწავლის უნარების ჩამოყალიბებაზე.საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შერჩეული თემები უზრუნველყოფს შედეგზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვას ყველა საფეხურზე და ხელს უწყობს ეროვნული მიზნების მიღწევას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში კიდევ უფრო მეტად გაძლიერდეს პრაქტიკული და ინტეგრირებული აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნული მიზნების რეალურ სასწავლო გამოცდილებაში გადატანას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარის, თანდართული დოკუმენტაციითა და ინტერვიუთი დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში ორიენტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული შინაარსი(თემა/საკითხი), შუალედური მიზანი/მიზნები, საათობრივი დატვირთვა, სემესტრული განაწილება, ასევე კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური სასწავლო მიზანი განსაზღვრულია კომპლექსური ტიპის დავალებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	წარმოდგენილი კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩოში იკითხება თემები, სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი საკითხები, კონტექსტ მაგალითები. დავალებები და აქტივობები იმგვარადაა შერჩეული, რომ ხელს უწყობს ინფორმაციის გააზრებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით და ეხმარება მოსწავლეებს მიღებული ცოდნის გამოყენებაში. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, იცნობენ და იყენებენ საგნობრივ სტანდარტს კურიკულუმების შემუშავებისას და გამოიყენებენ მომავალში მათ დასახვეწად. **რჩევა:** (დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურები) სასურველია, კურიკულუმებში ცნებები ჩაიშალოს იმ ქვეცნებებად, რომელთა დამუშავებაც ხდება თემის ფარგლებში. ეს ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის უკეთ სტრუქტურირებას და ცნებების ეტაპობრივ გააზრებას. კურიკულუმში საკითხი/დავალებები ზოგ შემთხვევაში არაერთგვაროვნადაა ფორმულირებული. სასურველია, კათედრაზე შეთანხმდნენ და საკითხი და დავალება ჩამოყალიბდეს ერთიანი პრინციპების დაცვით. კურიკულუმის ჩარჩოში დააკონკრეტონ შესასწავლად გამოკვეთილი ყველა საკითხის/თემის შესაბამისი სამიზნე ცნებება. აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულ დაგეგმვასა და შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან და ამოცანებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ე.ს.გ_ში განსაზღვრულ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. თემის ფარგლებში სამივე საფეხურზე მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, ხდება შუალედური მიზნების შემოქმედებითი ტიპის დავალებებით დამუშავება. კურიკულუმის ჩარჩოთი დგინდება, რომ პედაგოგები სხვადასხვა საკითხების სწავლებისას იყენებენ დამატებით სასწავლო ელექტრონულ და მატერიალურ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამივე საფეხურზე შემუშავებული კურიკულუმები დაფუძნებულია ეროვნული სასწავლო გეგმის და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნაზე, მათში შეტანილია სასწავლო თემები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლის ინტერესებს, მორგებულია მათ საჭიროებაზე და ხელს შეუწყობს მოზარდის ფიზიკურად განვითარებას სამივე საფეხურზე. კურიკულუმი შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნობრივი სტანდარტზე დაყრდნობით, ითვალისეინებს საგნის მიზნებს , შედეგებს და საგნის სამიზნე ცნებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან „კომპიუტერულ ტექნოლოგიებში“ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები (მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასები) ძირითადად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია მოსწავლეებში კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის, თანამშრომლობისა და ციფრული მოქალაქეობის უნარების განვითარებაზე, რაც სრულად ეხმიანება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. დავალებების კონტექსტები დაკავშირებულია მოსწავლეთა გამოცდილებასთან და ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ოთხივე საგნის საგნობრივი კურიკულუმები შეესაბამება ესგ–ის მოქმედ საგნობრივ სტანდარტებს. კერძოდ გრძელვადიანი მიზნების (სამიცნე ცნებები) სიღრმისეული გააზრებისთვის განსაზღვრულია სავალდებულო თემების დამუშავება, შესაბამისი საკითხებით, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით, გამოსაყენებელი ძირითადი და დამატებითი სასწავლო რესურსებით. აშკარად იკვეთება მზაობა სტანდარტის შედეგების მიღწევის.შედგენილი დავალებები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად ააგოს ახალი ცოდნა, გამოიმუშავოს საჭირო უნარ-ჩვევები.

	ინტერვიუში მასწავლებლებმა დეტალურად აღწერეს შემოქმედებით დავალებებზე მუშაობის პროცესი და ეტაპები. შემოქმედებითი დავალებების დაგეგმვისას ითვალისწინებს სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, შეფასების კრიტერიუმებიც მათთან კორელაციაშია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია რესურსები, რომელთა გამოყენებითაც მიიღწევა სასწავლო შედეგები. **რჩევა:** სამივე საფეხური - ასახონ რესურსებში კონკრეტული სკოლის, კათედრის, მასწავლებლის მიერ ორგანიზებული/დამზადებული რესურსები, სასურველია, რესურსები გამრავალფეროვნდეს, შესაძლოა, გამოყენებული იქნას მასწავლებლის ან მოსწავლეების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები, ასევე სხვადასხვა პროექტის ან არაფორმალური განათლების ფარგლებში გამოყენებადი მასალები შესაბამისი ვალიდაციის შემდეგ, რაც შექმნის სკოლის ორიგინალური რესურსების ბაზას ბუნებისმეტყველების მიმართულებით. გაასწორონ 2025-2026 სასწავლო წლის ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების ჩამონათვალში მე-12 კლასის ბიოლოგია (ვსარგებლობთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ელექტრონული მასალით, დამხმარე რესურსში მიუთითონ თმათ მიერ დასახელებული/შერჩეული ავტორი და გამომცემლობა). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	არსებული დოკუმენტაციის მიხედვით საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება ე.ს.გ-ში განსაზღვრულ გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს,თემის ფარგლებში სამივე საფეხურზე მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. შუალედური მიზანი ხორციელდება კომპლექსური დავალების საფუძველზე. ჩანს, რომ პედაგოგები გრიფირებული სახელმძრვანელოს გარდა

	იყენებენ დამატებით ინტერნეტ რესურსებს. ხველა საფეხურზე მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმის ფარგლებში გამოყენებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება წარმოდენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრებით.მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან საგანმანათლებლო რესურსებს, მათ შორის დიგიტალურ, აუდიოვიზუალურ და ინტერაქტიულ მასალებს, რაც ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას და სასწავლო პროცესის ეფექტიანობას. **რჩევა**:სასურველია, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები იყოს კიდევ უფრო ინდივიდუალიზებული და დიფერენცირებული რაც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის უკეთ დაგეგმვას და რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები, (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსი,რომელიც წარმოდგენილია ჰიპერლინკების სახით. კათედრა თავადაც ქმნის საგანმანათლებლო რესურსებს და ეფექტურად იყენებს სასწავლო პროცესში. რესურსების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში გათვალისწინებულია რესურსები - ძირითადად, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. როგორც მასწავლებლებმა აღნიშნეს, იყენებენ ციფრულ და მატერიალურ რესურსებს. ეს ყველაფერი უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის

	სასწავლო პროცესს და განაპირობებს კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. **რჩევა**-გაამდიდრონ და გაამრავალფეროვნონ კურიკულუმის ჩარჩო რესურსებით. აღნიშნული ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანობას, მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას, საგნობრივი შინაარსის უკეთ გააზრებასა და პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილი კურიკულუმების მიხედვით კათედრა ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოს, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი მიზნების მიღწევას. დამატებით წარმოდგენილია დამხმარე ელექტრონული რესურსები, რომლებიც შერჩეულია მიზნობრივად და უწყობს ხელს ეფექტურად სასწავლო შედეგების მიღწევას. სკოლას ასევე აქვს ინტერაქტიული დაფა, რომელსაც აქტიურად იყენებენ სხვადასხვა გრაფიკული მოდელებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესების დაგეგმისას პედაგოგები ცდილობენ შეიტანონ ისეთი სასწავლო თემები, რომლის განხორციელებასაც შეძლებენ არსებული მატერიალური რესურსით, ელექტრონულ რესურსად წარმოდგენილი იყო ასევე შესაბამისი გზამკვლევები სახეობების მიხედვით, შექმნილი ვიდეორგოლები ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან „კომპიუტერულ ტექნოლოგიებში“ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში განსაზღვრულია ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსები, school.emis.ge-ზე, აღნიშნული რესურსები შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ სამიზნე ცნებებსა და საკითხებს და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.

	რჩევა: სასურველი იქნებოდა სხვადასხვა საგანმანათლებლო ვიდეორესურსსა და კონტექსტ მაგალითებზე ბმულების მითითება, რომლებიც დამატებით შეუწყობდა ხელს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობასა და პრაქტიკული უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	საგნობრივ კურიკულუმებში ძირითად საგანმანათლებლო რესურსად მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე სხვადასხვა ინტერნეტ რესურსები, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; გარდა ძირითადი სასწავლო რესურსისა (გრიფირებული სახელმძღვანელოები), მასწავლებლები იყენებენ დამატებით საგანმანათლებლო რესურსებს: პლაკატებს, წიგნებს, ელექტრონულ რესურსებს, რომლებიც ვალიდირებულია კათედრის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს, სწავლებისას მასწავლებლები იაზრებენ დიფერენცირებული სწავლების მნიშვნელობას. სკოლის მოსწავლეთა მცირე კონტიგენტი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინკლუზიის ხარისხს და დიფერენცირებულ მიდგომებს. ***რჩევა:*** ***დაწყებითი საფეხური:*** *დიფერნცირებისათვის შესაძლებელია, მოსწავლეებს არამხოლოდ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს, არამედ შემაჯამებელ სამუშაობზეც შესთავაზოთ დავალების განსხვავებული ვარიანტები. სასურველია, სადიაგნოსტიკო ტესტში შევამციროთ ტესტური არჩევითბოლოიანი დავალებების მოცულობა და გავზარდოთ მაღალ სააზროვნო უნარებზე გათვლილი, შემოქმედებითი ტიპის დავალებები. თუ დიაგნოსტირება ტარდება წლის დასაწყისში, სასურველია, იგივე ხასიათის ტესტი განხორციელდეს წლის ბოლოსაც, ამასთან ზუსტად განისაზღვროს დიაგნოსტირების რეალისტური სასწავლო მიზნები სასწავლო თემებთან, დიაგნოსტირების ჩატარების დროსთან და წინარე ცოდნასთან მიმართებით (რას ვადგენთ, როდის,*

	რა ფორმით, როგორ და როდის გავზომავთ მოსწავლის პროგრესს. მაგ მე-6 კლასის ტესტი აგებულია წინა წლის სასწავლო საკითხებზე, დიაგნოსტირების ანალიზი შესრულებულია 1 -ელ ოქტომბერს). ***სამივე საფეხური:*** *სასურველია საგნობრივ კურიკულუმებში გამოკვეთოთ მასწავლებლის მიერ შერჩეული, მოდიფიცირებული ან ხელახლა შექმნილი ძირითადი და/ან ალტერნატიული აქტივობები.* **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს იფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების პრაქტიკას. დოკუმენტაციისა და ინტერვიუების ანალიზი დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და განსხვავებული სწავლითი სტილები, რაც განსაკუთრებით ჩანს კომპლექსური დავალებებისა და პროექტული აქტივობების განხორციელებისასინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია **რჩევა**:სასურველია, კურიკულუმში განისაზღვროს დიფერენცირებული დავალებებისა და აქტივობების კონკრეტული მაგალითები, ინსტრუქციები და განხორციელების პირობები. რამდენიმე მკაფიო ნიმუში მნიშვნელოვნად გაამარტივებს მასწავლებლებისთვის პრაქტიკულ გამოყენებას და უზრუნველყოფს სხვადასხვა დონის მოსწავლეების უკეთ მხარდაჭერას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი შესაძლებლობებით, ფსიქო-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლებით, სწავლის სტილით, გამოცდილებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ამის მაგალითია საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული დავალებები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას გამოხატოს საკუთარი აზრი, ცოდნა, დამოკიდებულება მრავალი და

	მისთვის ეფექტური საშუალებებით. სასწავლო პროცესში აუდიო-ვიდეო რესურსების გამოყენება უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას და სწავლების ხელშეწყობას,ქმნის კარგ საფუძველს ინკლუზიური და დიფერენცირებული სწავლებისთვის.ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა იწყება მოსწავლის საჭიროებების დადგენით და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით. სთავაზობენ მათთვის შესაფერის აქტივობებს, რაც პოტენციურად შესაძლებლობას იძლევა, თითოეულმა მოსწავლემ, საკუთარი ტემპითა და შესაძლებლობებით, მიაღწიოს სასწავლო შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში დიფერენცირებულ მიდგომებს, ქმნის ინკლუზიურ გარემოს. ამის დასტურია წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები/აქტივობები, რესურსები, რომლებიც მორგებულია მოსწავლეზე და იწვევს მათ დაინტერესებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს, საკუთარი ინტერესებიდან, მზაობიდან გამომდინარე აარჩიონ დავალება, საჭიროების შემთხვევაში ახდენენ სასწავლო შინაარსისა და დავალებების ადაპტირებას. სასწავლო მასალის წარდგენისას იყენებენ ვიზუალურ, პრაქტიკულ და თეორიულ მასალას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა სწავლის სტილის, მოდალობების გათვალისწინებასა და ეფექტურ ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმებში წარმოდგენილი გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, თემები და შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს დიფერენცირებულ სასწავლო გარემოს. დოკუმენტაციისა და ინტერვიურების ანალიზი ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სპორტი	სასწავლო პროცესში გამოყენებული დიფერენცირებული სწავლა-სწავლების პრინციპები, რაც გამოიხატება მრავალფეროვანი, მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული აქტივობებით და საჭირო რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან „კომპიუტერულ ტექნოლოგიებში“ არ არის წარმოდგენილი სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. ასევე არ ყოფილა წარმოდგენილი დიფერენცირებული დავალების ნიმუში, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა მოსწავლეთა წინარე ცოდნა, მზაობა, ინტერესები და მოტივაცია. მიუხედავად ამისა, კურიკულუმში წარმოდგენილი აქტივობები და რესურსები ქმნის შესაძლებლობას, საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესი დაიგეგმოს ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომების შესაბამისად. **რჩევა:** სასურველი იქნებოდა დიფერენცირებული სწავლების კონკრეტული მაგალითებისა და მიდგომების უფრო მკაფიოდ წარმოჩენა.მ**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და აშკარად გამოხატულია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება. კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, საჭიროებებსა და სწავლების სტილს. სკოლისთვის გამოცდილი პრაქტიკაა დიფერენცირებული სწავლების პრინციპების გამოყენება. - ინდივიდუალური და საერთო საკლასო საჭიროებების გამოვლენისთვის. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლას გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. მასწავლებლებთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ მათ აქვთ შესაბამისი გამოცდილება პროცესის წარმართვისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. **რჩევა:** სამივე საფეხური: სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს საგნის გრძელვადიან შედეგებს - საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა უპირველესად გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი. შემაჯამებელ სამუშაოებში სჯობს, საერთოდ ამოვიღოთ არჩევითბოლოიანი დავალებები, მეტი წილი მიენიჭოს ღია კითხვებს მაღალი სააზროვნო უნარების შემოწმების მიზნით. ასევე სჯობს, გამსაზღვრელი შეფასებების სქემებში ქულათა განაწილება აითვალოს მინიმალური დადებითი ქულიდან. შესაძლოა, მიუთითოთ კრიტერიუმის აღწერილობის გრაფაში რა შემთხვევაში არ შეფასდება მოსწავლე დადებითი ქულით. კათედრის ოქმში N 1 (მათემატიკა და საბუნებისმეტყველო საგნები) დანართი 4, შემაჯამებლების განრიგი სემესტრების მიხედვით მე-5 კლასში პირველ სემესტრში მითითებულია 0, რადგან განმსაზღვრელი შეფასება მე-2 სემესტრიდან იწყება, თუმცა პრაქტიკული თვალისაზრისით,მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, შეგიძლიათ, დაგეგმოთ შემაჯამებელი სამუშაო კათერდაზე შეთანხმებული ფორმით, თუნდაც ქულების მინიჭებით, რაც მოსწავლეს და მასწავლებელს მისცემს საშუალებას, მოემზადოს და ადაპტირდეს განმსაზღრელი შეფასებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლამ სამივე საფეხურისათვის წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. კარგი იქნებოდა, რომ განმსაზღვრელ შეფასებაში საბზო და საშუალო საფეხურზე კრიტერიუმები უკეთ ჩაეშალათ. მეტი სიზუსტით აღიწეროს

	შეფასების კრიტერიუმები გამოიკვეთოს მისაღწევი შედეგები და დავალების პირობასთან მიმართება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პედაგოგებთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ უცხოური ენების კურიკულუმით გათვალისწინებული შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.სკოლამ წარმოადგინა შეფასების მრავაფეროვანი რუბრიკები. **რჩევა**:სასურველია, თითოეულ საფეხურზე, ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, უფრო დეტალურად განისაზღვროს შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მკაფიოდ აღწერს მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევის დონეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. ესთეტიკის კათედრას, მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (როგორც ჰოლისტური, ასევე ანალიტიკური) სხვადასხვა ტიპის აქტივობებისთვის.მუსიკის საგანში ნიმუშის სახით წარმოდგენილია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების/ მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით.

	რჩევა: სასურველია,კურიკულუმის შესაბამისად შეიქმნას სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში,როგორც დაწყებით,ასევე საბაზო საფეხურზე, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კონკრეტული თემის ფარგლებში, სამიზნე ცნების/ მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. კათედრამ წარმოადგინა სხვადასხვა დავალების შეფასების რუბრიკები, როგორც ზოგადი, ისე ცნებებთან მიმართებით. აღნიშნეს, რომ რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს. კათედრა აგრძელებს ცნებებზე ორიენტირებული რუბრიკების შექმნას სახვადასხვა აქტივობისთვის. ეს ყველაფერი უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას. **რჩევა**: (დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლებმა კურიკულუმით გათვალისწინებული ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში კი აღწერონ, თუ რა მოლოდინი უნდა ჰქონდეს მასწავლებელს მოსწავლისგან კონკრეტულ ქვესაკითხთან და მასთან ერთად სამიზნე ცნებასთან მიმართებით. რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებთან, ასევე ზრდის შეფასების ვალიდურობას, სანდოობასა და სამართლიანობას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრება ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამვირვალობის,

	სანდოობის და ობიექტურობის პრინციპებს. შეფასების რუბრიკები შემუშავებულია საგნის სტანდარტზე დაფუძნებით და უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ სტრუქტურირებულ და მკაფიო შეფასებას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკურ აღზრდაში და სპორტში სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას. განმავითარებელი შეფასებისთვის წარმოდგენილი აქვთ, როგორც ზოგადი შეფასების რუბრიკები, ასევე კონკრეტულ კომპლექსურ დავალებაზე მორგებული განმავითარებელი შემაჯამებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კარგადაა გამოკვეთილი კონკრეტული შეფასების ინდიკატორებით, რომელ მკვიდრ წარმოდგენებს ეუფლება მოსწავლე. აქვთ ასევე სადიაგნოსტიკო შეფასების რუბრიკაც, რომლის გამოყენებასაც კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლიდან.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ საწყის ეტაპზე და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. წარმოდგენილია როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაკავშირებულია სამიზნე ცნებებთან და ემსახურება გრძელვადიანი შედეგების მიღწევას. ასევე წარმოდგენილია კონკრეტული დავალებების შეფასების რუბრიკები, რაც მიუთითებს, რომ მასწავლებელს აქვს გამოცდილება შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და გამოყენებაში.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის დოკუმენტაციის გაცნობისა და ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. აღნიშნული სისტემა ემყარება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, განვითარების პრინციპს და მიზნად ისახავს სწავლის პროცესის გაუმჯობესებას, პიროვნული ზრდის ხელშეწყობას და მოსწავლის განვითარებაზე მუდმივ ზრუნვას. წარმოდგენილია მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა ტიპები, როგორიცაა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, რომელთა რუბრიკებიც მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. შეფასებები წარმოდგენილია თემების მიხედვით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ შეფასების რუბრიკები
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ საგნობრივი კურიკულუმები
- ✓ შემოქმედებითი დავალებები
- ✓ სახელმძღვანელების ჩამონათვალი
- ✓ ამატებითი რესურსების ჩამონათვალი
- ✓ ერთიერთდასწრების ოქმი
- ✓ განხორციელებული პროექტები
- ✓ დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმი .
- ✓ ი.ს.გ. გეგმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს კურიკულუმით დაგეგმილ აქტივობებს. მოსწავლის შესრულებული ნამუშევრების ნიმუშები ასახავს კურიკულუმით დაგეგმილი შუალედური მიზნის მიღწევის საშუალებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებელბთა გასაუბრებისა და დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე შიგვიძლია ვთქვათ, რომ საათობრივი დატვირთვა სამივე საფეხურზე , მათ შორის საბაზო და საშუალო საფეხურზე სამივე საგანში (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემებისა თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას. წარმოდგენილი სასწავლო თემები და საკითხები დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების სწავლების პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და სრულ შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან.ყველა საფეხურზე

	განსაზღვრულია მკაფიო მიზნები, თემები და აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ენობრივი და კომუნიკაციური უნარების თანმიმდევრულ განვითარებას. **რჩევა**:სასურველია ყველა საფეხურზე უფრო აქტიურად დაინერგოს დიფერენცირებული და ინტერაქტიული სწავლების მეთოდები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	საგნობრივი კურიკულუმებით, სასწავლო პროცესის შეფასების და თვითშეფასების დოკუმენტაციით დასტურდება,რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. კომპლექსური ტიპის დავალებები თავისთავად იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.კათედრის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა იდეები, სასკოლო პროექტები, ღონისძიებები. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ავტონომიურობა და აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობა. კურიკულუმში მოცემული შუალედური მიზნები, საშუალებას მისცემს მოსწავლეს, რომ განიხილოს ახალი ინფორმაცია, გადაამუშაოს და განიხილოს იგი ახალ კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცეს და ახსნას იდეები. კურიკულუმის გაცნობისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შემდეგ შესაძლებელია დასკვნის გაკეთება, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ და გამოხატავენ მზაობას, რომ მათ მიერ დაგეგმილი სასწავლო პროცესის განხორციელებისას ხელი შეუწყონ აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ინტერვიუ პედაგოგებთან ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად.

	სასწავლო პროცესი დინამიკურია და ორიენტირებულია განვითარებაზე. კათედრა აკვირდება და აანალიზებს კურიკულუმის განხორციელების პროცესს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში და არგებენ მას მოსწავლეთა საჭიროებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრის მიერ მოწოდებული მასალის (სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები, შემოქმედებითი დავალებების ბარათი, კათედრის ოქმი, სამოქმედო გეგმა, შეფასების რუბრიკები, სასკოლო სასწავლო გეგმა) ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, საგნის საათობრივი დატვირთვა სამივე საფეხურზე და სემესტრული განაწილება შეესაბამება კურიკულუმში გაწერილი თემის თუ ძირითადი საკითხებისთვის დათმობილი საათების რაოდენობას წარმოდგენილი სასწავლო თემები და საკითხები დაგეგმილ აქტივობებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	სასწავლო პროცესი შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა პიროვნული განვითარება და დაფუძნებულია გრძელვადიან მიზნებზე, ჩანს ზრუნვა და მხარდაჭერა, სასწავლო პროცესი შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებს და მიზნებს. სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუს და რეფლექსიების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება დაგეგმილი კურიკულუმების მიხედვით, რაც განაპირობებს სწავლების კონსტრუქციულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ემყარება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს. აღნიშნულს ადასტურებს როგორც კურიკულუმის განვითარების გამოყენებული მეთოდოლოგია, ისე მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრება. კურიკულუმის სტრუქტურა, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები და დაგეგმილი აქტივობები უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლა ჩართული იყო ჯიპრაიდის და ახალი სკოლის მოდელში და აქვთ გამოცდილება წარმართონ სასწავლო პროცესი კურიკულუმების შესაბამისად. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი-დაწყებული საგნობრივი კურიკულუმის შედგენით, გაგრძელებული სწავლების მეთოდებით და დასრულებული შეფასებით-დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.მასწავლებლებმა ოთხივე საგანში მკაფიოდ და ნათლად ისაუბრეს შემოქმედებითი დავალებების განხორციელების ეტაპებზე, აქტივობებსა და შედეგებზე. ასევე პრობლემურ საკითხებზე. **რჩევა:** სკოლას მიეცა რჩევა, რომ სასწვლო წლის დასასრულს განახორციელონ კურიკულუმების რევიზია და შეიტანონ ცვლილებები საჭიროებისამებრ კოლეგებთან თანამშრომლობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილია და სწრაფად ეხმიანება ცვლილებებს, იგი ცდილობს დაეხმაროს ყველა მოსწავლეს მისი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. სკოლას შეუძლია დროულად შეცვალოს სწავლების მეთოდები, პროგრამა ან მიდგომები, თუ ამას გარემოება მოითხოვს (მაგ., ონლაინ სწავლაზე გადასვლა, დამატებითი გაკვეთილების დანიშვნა, საგნობრივი მხარდაჭერა და სხვ.). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილია სასწავლო პროცესის შეფასების ინსტრუმენტები,რომელიც ითვალისწინებს შეფასების პრინციპებს. სკოლაში მოქმედებს ვერიფიკაციის მექანიზმი, დაწყებულია შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაცია. ***რჩევა:*** *საშუალო საფეხური წარმოდგენილ მოსწავლის თვითშეფასების ნიმუშში (საგანი ბიოლოგია, თემა გენეტიკა) სტრუქტურირებულია შეფასების 5 დონე, სადაც მოსწავლეს აქვს კი/არა მონიშვნის გრაფა. შეფასების დიაპაზონის გაზრდის მიზნით, შესაძლოა,მოსწავლეებს ვთხოვოთ, შეაფასონ ესა თუ ის დონე ათქულიანი შკალით.* **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. **რჩევა:** სასურველია, შეფასების ინსტრუმეტების დახვეწვა საბაზო და საშუალო საფეხურზე. კერძოდ მეტი სიცხადის შეტანა და მათი კომპლექსურ დავალებებთან შესაბამისობაში მოყვანა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე იკვეთება, რომ უცხოური ენების სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.კათედრას წარმოდგენილი აქვს მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები რომლებიც განსხვავდება დონეების მიხედვით. თუმცა მიზანშეწონილია, რომ კათედრა უფრო აქტიურად იყოს ჩართული მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის პროცესში, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს სისტემის სანდოობასა და ერთგვაროვნებას.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია **რჩევა:** სასურველია, კათედრა უფრო აქტიურად ჩაერთოს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის პროცესში და ეს პროცესი გახდეს სისტემატური და რეგულარული. ასევე, მიზანშეწონილია შეფასების ინსტრუმენტების პერიოდული გადახედვა და ერთგვაროვანი კრიტერიუმების გაძლიერება, რაც კიდევ უფრო გაზრდის შეფასების სანდოობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი და წარმოდგენილი შეფასების სისტემა, თავისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკებით და კრიტერიუმებით, უზრუნველყოფს მის ვალიდურობასა და ობიექტურობას, რადგან ის ზომავს ზუსტად იმ უნარებს, რაც კურიკულუმითაა გათვალისწინებული. კრიტერიუმების არსებობა ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და სანდოობას, ხოლო მათი თანმიმდევრული გამოყენება საფუძველს უყრის სამართლიან შეფასებას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სახელმწიფო ენა	წარმოდგენილ დოკუმენტაციასა და გასაუბრებაზე დაყრდნობით აღვნიშნავთ, რომ სკოლაში მოსწავლეთა შეფსება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. შეფასება ემყარება მოსწავლეთა ინდივიდუალურ წინსვლასა და პროგრესს, იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები და მეთოდები, ტესტები, პროექტები, ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, რაც უზრუნველყოფს პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას. მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებსა და მიზნებს, რაც ზრდის გამჭვირვალობასა და სამართლიანობას. **რჩევა**: (დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) მასწავლებლებმა კურიკულუმში წარმოდგენილი ყველა დავალებისთვის შეიმუშაონ ცნებებსა და ქვეცნებებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. ეს ხელს შეუწყობს შეფასების სისტემატურობასა და თანმიმდევრულობას, ობიექტურობასა და გამჭვირვალობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია ადასტირებს, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. გამოყენებულია საგნის სტანდატრზე დაფუძნებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები რაც უზრუნველყოფს შედეგებზე ორიენტირებულ მკაფიო შეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	პედაგოგები შეფასებისას ეყრდნობიან სამიზნე ცნებებს და ქვეცნებებს, ანუ შეფასება მიმართულია გრძელვადიან მიზნებზე, დაწყებით კლასებში მოსწავლეთა შეფასება

	შემოიფარგლებოდა ზეპირი კომენტარებით, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება, ახალი სასწავლო წლიდან კურიკულუმების დანერგვის პროცესში მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს შეფასების რუბრიკებისა და შეფასების მექანიზმების პრაქტიკული განხორციელება, წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შეფასების სისტემის ვალიდურობა, გამჭვირვალობა, ობიექტურობა და სამართლიანობა დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილ დოკუმენტებში, განსაკუთრებით დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. შეფასების რუბრიკები მიემართება გრძელვადიანი მიზნებს. მიმაჩნია, რომ ადმინისტრაციის მიერ დაგეგმილი მონიტორინგის სისტემა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს შეფასების სისტემის ობიექტურობაში და გამჭირვალეობაში. მასწავლებელთა შეფასების პროცესი სასწავლო პროცესის ნაწილია და ორიენტირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერაზე. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე. **რჩევა:** სასურველია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებული იყოს შედეგების მიღწევის ინდიკატორები და მოხდეს საკითხთან მიმართებით დაკონკრეტება .

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლას აქვს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას. დოკუმენტში დეტალურად არის აღწერილი შერჩევის მექანიზმი, ვერიფიკაციის პროცესი, განსაზღვრულია პროცესზე პასუხისმგებელი და განმახორციელებელი პირები, წარმოდგენილია ვერიფიკაციის სამოქმედო გეგმა. მასწავლებელი შეფასების პროსესში დამოუკიდებელი და თავისუფალია. ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი და მასწავლებლებთან ინტერვიუ ადასტურებს, რომ სკოლაში შეფასების პროცესის ვალიდურობის, სანდოობის, გამჭირვალობის დასადასტურებლად შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. საგნის მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. პერიოდულად ხდება შედეგების ანალიზის გაზიარება კათედრაზე. ასევე დირექცია ახდენს სკოლის საერთო შედეგების სტატისტიკურ ანალიზს სემესტრული შედეგების საფუძვლზე და ახორციელებს რეფლექსიას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები სათანადოდ აღრიცხულია და შენახულია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში კათედრის პორტფოლიოებში ინახება მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებები. ამასთან, კლასისა თუ საფეხურის დაძლევა მტკიცდება დირექტორის ბრძანებით, რომელიც საქმისწარმოების წესის შესაბამისად ატვირთულია E-flow სისტემაში. სკოლა იცავს დოკუმენტის წარმოებისა და შენახვასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი*
- ✓ *სკოლის შინაგანაწესი*
- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- ✓ *საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე*
- ✓ *შემოქმედებითი დავალებები დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე*
- ✓ *განხორციელებული პროექტები*
- ✓ *განხორციელებული ღონისძიებები*
- ✓ *მასწავლებელთა პორტფოლიოები*
- ✓ *შემაჯამებელი დავალებები*
- ✓ *E-FLOW*
- ✓ *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები*

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმით განსაზღვრულია ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოები, აქტიურად იყენებენ დამხმარე რესურსებსაც. **რჩევა:** **სამივე საფეხური:** სასურველია, საბუნებისმეტყველო კათედრაზე შეიქმნას ციფრული რესურსების ბანკი, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, ძირითად რესურსებთან ერთად ან მათ ნაცვლად, ალტერნატიული აქტივობები შეასრულონ. წლის ბოლოს სასურველია, მოხდეს რესურსების ინვენტარიზაცია, სასწავლო წლის დასაწყისისთვის მობილიზდეს ახალი რესურსი და მოემზადოს

	კათერდაზე ვალიდაციისთვის,ლაბ.რესურსების ჩამონათვალში აისახოს ყველა გამოყენებადი რესურსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	არსებულ კურიკუმზე დაყრდნობით შეგვიძლია ვტქვათ, რომ საკმაოდ მრავალფეროვანი რესურსებია აქვთ წარმოდგენილი, რომლებიც შესაბამისობაში მოდის არსებულ თემებსა და საკითხებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები აქტიურად გამოიყენება სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების მიზნების ეფექტიან განხორციელებას სასწავლო პროცესში ძირითად რესურსად გამოყენებულია გრიფირებული სახელმძღვანელოები, ხოლო დამხმარე რესურსების სახით — დიგიტალური, ინტერაქტიული და აუდიოვიზუალური მასალები, რომლებიც ამდიდრებს გაკვეთილის შინაარსს და ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სახვით და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივ კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი,აგრეთვე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები ბმულების სახით; ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ რესურსების შერჩევა ხდება აქტივობების, შუალედური და გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად და რესურსების შერჩევისას ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს, შემოქმედებითი დავალების პროდუქტის შესაქმნელად მასწავლებლის მიერ გამოყენებულია, როგორც ვიდეო ასევე აუდიო რესურსი, რაც განაპირობებს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნად წარმართვის საშულებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	კურიკულუმში ასახულია როგორც ძირითადი სახელმძღვანელოები, ისე დამატებითი რესურსები (სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული რესურსები), რომელთა გამოყენება უზრუნველყოფს სწავლების პროცესის დინამიკურობასა და ინტერესის ზრდას მოსწავლეთა შორის, ხელს უწყობს მათ აქტიურ ჩართულობასა და ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	არსებულ კურიკულუმებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკმაოდ მრავალფეროვანი რესურსები აქვთ წარმოდგენილი, რომლებიც შესაბამისობაში მოდის არსებულ თემებსა და საკითხებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	გასაუბრების დროს კარგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან „კომპიუტერულ ტექნოლოგიებში“ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია სასწავლო რესურსები პროგრამული უზრუნველყოფების ჩამონათვალის სახით. ასევე მითითებულია ბმული school.emis.ge, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

	თუმცა, აღსანიშნავია, რომ კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი სხვა დამატებითი ელექტრონული ან საგანმანათლებლო რესურსების ბმულები **რჩევა:** მომავალში სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებისა და მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით სასურველია მრავალფეროვანი ონლაინ საგანმანათლებლო რესურსების მითითება **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში კათედრა იყენებს გრიფირებულ და დამატებით სახელმძღვანელოებს, რუკებს,ფოტომასალებს, ელექტრონულ რესურსებს (ტელესკოლა,ფილმები) (იხ. დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია). რესურსის შერჩევა ხდება კათედრის სხდომებზე და პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა ჩართულობას რესურსების შერჩევასა და შეფასებაში, რესურსების პრაქტიკულ ტესტირებას სასწავლო პროცესში, რეგულარულ მონიტორინგსა და განახლებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტიანობასა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტების დაცვას.უცხოური

	ენების კათედრაზე აღნიშნული პროცესი განხორციელდა კათედრის წევრების აქტიური თანამშრომლობით. რესურსები შერჩეულია თითოეული ენის ინგლისურისა და რუსულის სასწავლო საჭიროებების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მათ ხარისხს, მიზნობრიობასა და მოსწავლეთა მრავალფეროვან საჭიროებებზე მორგებას.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია **რჩევა:**სასურველია, სკოლამ რეგულარულად გაატაროს დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხობრივი შემოწმება და დადასტურებული რესურსები გამოიყენოს სწავლის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	როგორც პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება კათედრაზე.გამოიყენება მხოლოდ ის მასალები, რომლებიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და სწავლების მიზნებს. მტკიცებულებად წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები, კათედრის ოქმები და დამტკიცებული რესურსების ნუსხა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრაზე დამატებითი რესურსების შერჩევა ხდება ურთიერთშეთანხმებით და ამ შერჩეული დამხმარე რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მასწავლებლებთან გასაუბრებიდან ნათელია, რომ სკოლა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის პროცესს, რომელიც მოიცავს მასწავლებელთა ჩართულობას რესურსების შერჩევასა და შეფასებაში, რესურსების პრაქტიკულ ტესტირებას სასწავლო პროცესში, რეგულარულ მონიტორინგსა და განახლებას

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
სპორტი	ფიზიკური აღზრდის და სპორტის რესურსები და სპორტული ინვენტარი მორგებულია გაწერილ კურიკულუმზე და სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნების განხორციელებას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება სასწავლო პროცესში ძირითადად ეფუძნება კურიკულუმით განსაზღვრულ რესურსებსა და რეკომენდებულ პლატფორმებს, მათ შორის school.emis.ge-ს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	**ხარვეზი:** **სკოლას არ აქვს სრულყოფილად მოწყობილი სასკოლო საბუნებისმეტყველო ლაბორატორია.** სკოლის ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ლაბორატორიის მოწყობა (პერიოდი - 2026 წლის ივლისი, აგვისტო). სკოლის თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ "მუნიციპალიტეტი გეგმავს ამ წლის დასრულებამდე მოაწყოს ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიები". სკოლის მხრიდან გადადგმულია პირველი ნაბიჯებიც - გამოყოფილია ცალკე საკლასო ოთახი, მიმდებარე სივრცით, სადაც კარადებში განთავსებულია ლაბორატორიული ხელსაწყოები (როგორც ძველი, ასევე ნაწილი ახალი), ქიმიური ჭურჭელი, რეაქტივები. სხვა სასწავლო რესურსი (პლაკატები, მოდელები) განთავსებულია ამავე სივრცეში. სკოლის მიერ წარმოდგენილია შესყიდული ქიმიური რეაქტივების ჩამონათვალიც. კათედრაზე აღრიცხულია არსებული მატერიალური რესურსიც, აღსანიშნავია, რომ ფიზიკის რესურსები უფრო მრავალფეროვანია, შედარებით მცირეა ქიმიის ნაწილი, თუმცა ყველაზე მწირი რესურსებია ბიოლოგიაში. სამომავლოდ ამ სივრცეში უნდა მოეწყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია შესაბამისი აღჭურვილობით, სადაც მოსწავლეებს საშუალება ექნებათ, დაგეგმონ და ჩაატარონ შესაბამისი თემების მიხედვით ცდები, ხელსაწყოებისა და მოდელების გამოყენებით და საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აღმოაჩინონ და უკეთ გაიაზრონ სამყაროს კანონზომიერებები. **ლაბორატორიის სრულყოფილად მოწყობისთვის საჭიროა:** - არსებობდეს სველი წერტილი კერამიკის ნიჟარით, ქიმიური ჭურჭლის საშრობით; - გამწოვი კარადით აღჭურვა, სადემონსტრაციო მაგიდის დასაფარად შესაძლოა ფოლგის, მინის ან კერამიკული ფილის გამოყენება. - ლაბორატორიაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მიზნით სჯობს, განთავსდეს (ქვიშის ყუთი/ცეცხლგამძლე ნაჭერი/ცეცხლმაქრი - ასეთის არსებობის შემთხვევაში).

	▪ სსსმ მოსწავლის ლაბორატორიასთან თავისუფალი წვდომა უნდა იყოს უზრუნველყოფილი, მიუხედავად იმისა, ირიცხება თუ არა ასეთი მოსწავლე; ▪ დაორგანიზდეს ლაბორატორიული ეკიპირება - ხალათები ან წინსაფრები, სათვალე, ხელთათმანები, საფთიაქო ყუთი პირველადი დახმარების მასალით; ▪ რეაგენტები ეტიკეტით ინახებოდეს განსაზღვრული წესით, აგრესიული მჟავები/ტუტეები ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი და შენახული დაცულ ადგილას; ▪ ინვენტარიზაცია უნდა ჩატარდეს ყოველწლიურად; ▪ შეიქმნას და გაიკრას ლაბორატორიის დატვირთვის განრიგი თვალსაჩინო ადგილას მათ შორის კაბინეტის შესასვლელის წინ. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს 2.2.2.3 ინდიკატორთან მიმართებით განმარტა, რომ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის გამოყოფილია შესაბამისი სივრცე, ლაბორატორიის აღჭურვას უზრუნველყოფს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სრულ გარემონტებას რომელიც გულისხმობს სველი წერტილისა და გამწოვის დამონტაჟებას ადგილობრივი მუნიციპალიტეტი. 2026-2027 სასწავლო წლის დასაწყისისთვის სკოლას ექნება სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილია აქტივობა, რომელიც მოიცავს 2026 წლის ივნისიდან 2026 წლის სექტემბრამდე პერიოს. **სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის მოწყობა და ფუნქციონირება უსაფრთხოების, ხელმისაწვდომობის, სანიტარიულ-ჰიგიენური და მატერიალურ-ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად. ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილ ფოტო მასალაზე დაყრდნობით, ჩანს, რომ სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინვეტარით. რომელიც ხელს უწყობს კომფორტულ და ეფექტურ სწავლა-სწავლების პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსებით.სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი რესურსები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა რაოდენობასა და სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს. სწავლება მოიცავს სხვადასხვა აქტივობას, მათ შორის

	არაფორმალური განათლების ელემენტებს (კლუბურ მუშაობას,პროექტულ სწავლებას), რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ენობრივი უნარების, კომუნიკაციური კომპეტენციებისა და კულტურული ცნობიერების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	დოკუმენტაციის განხილვისა და კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით რასაც ადასტურებს წარმოდგენილი ფოტო მასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სასწავლო პროცესის სრულყოფილია და შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობა განსაზღვრავს და უზრუნველყოფს ეფექტური სასწავლო პროცესის

	განხორციელებას და განსაზღვრული შედეგების მიღწევას.მატერიალური და ადამიანური რესურსები სრულად უზრუნველყოფს საუკეთესო შედეგის მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. არსებული რესურსი საკმარისია იმისათვის, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს სრულფასოვნად და ეფექტიანად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. მატერიალური რესურსი შეესაბამება მოსწავლეთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, საჭირო რაოდენობის კომპიუტერული ტექნიკა და ინტერნეტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში მუშაობენ ისეთი კვალიფიკაციის და კომპეტენციის მქონე თანამშრომლები (მასწავლებლები, ადმინისტრაცია და სხვა პერსონალი), რომლებიც შეესაბამებიან ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და მუდმივად ზრუნავენ იმისთვის, რომ კურიკულუმი სრულად და ეფექტურად განხორციელდეს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ დამატებითი დოკუმენტაცია. სკოლაში არსებული სასწავლო რესურსების ფოტოები
- ✓ *დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები*
- ✓ *მასწავლებელთა პირადი საქმეები*
- ✓ *მასწავლებელთა ანგარიშები*
- ✓ *ESCHOOL ბაზა*
- ✓ *განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალა*
- ✓ *მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ამსახველი ფოტოები*
- ✓ ურთიერდასწრების რეფლექსიები
- ✓ კათედრის სხდომის ოქმები
- ✓ ისგ გეგმები
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა: რესურსების, სახელმძღვანელოებისა და შემაჯამებელი დავალებების ჩამონათვალი
- ✓ ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის ნაწილია. ამ ეტაპზე მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კათედრაზე კოლეგებისა და დირექციის ურთიერთდასწრებით, მასწავლებელთა უკუკავშირით, აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში, რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით: სასწავლო მონიტორინგი და შეფასების მექანიზმები (შეფასების ჰოლისტიური რუბრიკები, ურთიერთდასწრების, კომპლექსური დავალებების შედეგების ანალიზი) გამოავლენს პრობლემებს და დასახავს მათი ინტერვენციის გზებსა და საშუალებებს. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ ხდება სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერა. გამოიკვეთება კურიკულუმის ძლიერი და გამოსასწორებელი მხარეები, არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც გათვალისწინებული იქნება ახალი კურიკულუმის შედგენისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან და დამყარებულია ურთიერთმხარდაჭერაზე. სკოლაში არსებობს გაკვეთილზე

ურთიერთდასწრების პრაქტიკა, რომელიც სასწავლო პროცესის დადებითი და გამოსასწორებელი მხარეების გამოკვეთის საფუძველზე სასკოლო საზოგადოების მხარდამჭერი მექანიზმია და იძლევა წინსვლისა და განვითარების საშუალებას. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; პედაგოგები კათედრების სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, მსჯელობენ მოსწავლეთა ნამუშევრების პრობლემურ მხარეებზე და ამ პროცესზე დაყრდნობით ცდილობენ გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხი. სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს გაცნობიერებული აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება ემსახურება მათთვის მხოლოდ კონსტრუქციული უკუკავშირის სახით რეკომენდაციების შემუშავებას და დახმარებას საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ საგნობრივი კურიკულუმები
- ✓ სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი
- ✓ შემოქმედებითი დავალებები
- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- ✓ სახელმძღვანელოების ჩამონათვალი
- ✓ განხორციელებული პროექტები
- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ კათედრის სხდომის ოქმები
- ✓ ურთიერთდასწრების ამსახველი დოკუმენტი

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის დოკუმენტაციის შესწავლისა და გასაუბრებიდან ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები და მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებთ. პედაგოგები სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების ფორმებსაც, რაც ერთგვარი უკუკავშირია სწავლის პროცესის. სამომავლოდ დაგეგმილი რემედიაციის საშუალებით ისინი ახორციელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც ნაკლებად დაძლია მოსწავლეთა უმეტესესობამ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლაში მოსწავლეთა შეფასების პროცესი განხორციელებულია სხვადასხვა საგანმანათლებლო კონტექსტის გათვალისწინებით. შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ საგაკვეთილო პროცესით და მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში მოსწავლეთა საქმიანობას.

სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, მათ მონაწილეობას პროექტებში, სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებსა და ინიციატივებში. აღნიშნული აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ძლიერი მხარეების გამოვლენას, რაც ასევე განიხილება შეფასების პროცესში. მოსწავლეთა შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ როგორც აკადემიურ მიღწევებს, ასევე მოსწავლეთა პროგრესს,ჩართულობას, მოტივაციასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო გარემოში გამოვლენილ უნარებს, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის კომპლექსურობას და მოსწავლის განვითარების სრულყოფილ აღქმას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში არსებობს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი გამოცდილება. მონაცემების შესაგროვებლად იყენებენ ისეთ მეთოდებს, როგორიცაა შეფასების შედეგების ანალიზი, მაგალითად, დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზს, დაკვირვბასა და ჩანაწერების წარმოება, გამოკითხვა, ინტერვიუ, თვითშეფასება. კვლევებით მიღებული გამოცდილებისა და შედეგების გაანალიზებით ხდება მონაცემთა დამუშავება, რეიტინგების შედგენა, სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემების პედაგოგებისათვის გაცნობა და შემდეგში სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინება. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სკოლის სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა შეფასების სისტემას, რომელიც ეფუძნება ობიექტურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და ვალიდურობის პრინციპებს. შეფასების პროცესში გამოიყენება როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასება, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც მიღწეული შედეგი, ისე მოსწავლის განვითარება. სკოლა შეფასების დროს დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასათან ერთად ფუნქციურ-კომპეტენტური უნარების განვითარებას, კერძოდ შეფასებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ ნებისმიერ ფაქტორს, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის სწავლის პროცესსა და შედეგზე. კერძოდ, სოციუმი, ოჯახი, ტრადიციები. ასევე მშობლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათთან კლასის ხელმძღვანელებისა და საგნის მასწავლებლების აქტიური ჩართულობა და თანამშრომლობა, რაც მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლის საჭიროებების მეტად გამოკვეთისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების პროცესში. შესაბამისად, სკოლაში მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- ✓ *სკოლის შინაგანაწესი*
- ✓ *კათედრების ანგარიშები*
- ✓ თვითშეფასების კითხვარი;
- ✓ შესაფების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ✓ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

კურიკულუმის დანერგვისა და შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით , ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება .მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. იმსჯელებენ კურიკულუმის მიხედვით განხორციელებული აქტივობების ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე, მოახდენენ მის განზოგადებას, დასახავენ პრობლემის გადაჭრის გზებს, რაც შემდგომ გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმის შექმნისას. გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით დაითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს; მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის გასაახლებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით და გასაუბრების საფუძველზე, დგინდება, რომ კათედრის მიერ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სასკოლო საზოგადოების წევრთა მიერ საჭიროების დადგენა კურიკულუმის განვითარებისა და ცლილებების წინაპირობაა. საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილებები და მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის კურიკულუმში. ახალი კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომლებიც მოქმედი კურიკულუმის დანერგვისას წარმოიქმნა. ეს პროცესი ეფუძნება წინარე გამოცდილების ანალიზს და ითვალისწინებს მონიტორინგის და შეფასების შედეგებს შემდეგი მიმართულებებით: მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა შედეგები, მშობელთა ჩართულობა, კათედრების მუშაობა, სკოლის დირექციის რეფლექსია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ✓ სკოლის შინაგანაწესი
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ ვერიფიკაციის მექანიზმი
- ✓ პედსაბჭოს სხდომის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი: 14.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

გიორგი მოდებაძე:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მირანდა იაკობიძე:

ნინო მახარაშვილი :

ირმა ავალიანი:

ლია ციცქიშვილი:

ნათია ნეფეტვარიძე :

მარინე მორჩილაძე:

მირანდა თურმანიძე:

ნათია კილაძე:

გიორგი ბერიძე:

მარინე ახალაია: